პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 დეკემბერი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 285 (14889)



შენთვის, ჩემო დედასამშობლო!

გორის რაიონის მშრომელთა ნობათი

საკავშირო XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს გორის რაიონის მშრომელებმა. მათ გადამეტებით შეასრულეს ხილის, შაქრის ჭარხლის, უურძნის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

გორის რაიონის ბაღებიდან საშობლომ ნაცვლად 24.615 ტონისა 31.513 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი მიიღო, წლიური გეგმა 128 პროცენტით შესრულდა. ნაცვლად 36.270 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 40.200 ტონა შაქრის ჭარხალი, ნაცვლად 3.990 ტონისა — 5.161 ტონა ყურძენი, ნაცვლად 3.030 ტონისა — 4.404 ტონა მარცვლეული, ნაცვლად 10.359 ტონისა — 11.005 ტონა ბოსტნეული, ნაცვლად 1.130 ტონისა — 1.719 ტონა ხორცი, ნაცვლად 3.400 ტონისა — 4.011 ტონა რძე, ნაცვლად 1.280.000 ცალისა — 2.067.900 ცალი კვერცხი. მატყლის დამზადების გეგმა შესრულებულია 138,4 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 103,3 პროცენტით და სხვ. საშემოდგომო თესვის დავალება 101,8 პროცენტით შესრულდა.

რაიონის სოფლის მშრომელებმა ასევე ვადაზე ადრე და გადამეტებით შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა, ხილის დამზადების ხუთწლიანი გეგმა 121,7 პროცენტით შესრულდა, ნაცვლად 108.400 ტონისა საშობლომ მიიღო 132.022 ტონა ხილი, ნაცვლად 181.350 ტონისა — 205.911 ტონა შაქრის ჭარხალი, ნაცვლად 45.658 ტონისა — 52.481 ტონა ბოსტნეული. ხორცის დამზადების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 139.1 პროცენტით, რძისა 120,6 პროცენტით, კვერცხისა — 133,4 პროცენტით, მარცვლეულისა — 101,7 პროცენტით. შესრულდა აგრეთვე მეორადი ნედლეულის დამზადებისა და ბაღეებისა და ვენახების გაშენების ხუთწლიანი გეგმები.

ხილ-ბოსტნეული გეგმის გადამეტებით

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც გამაღეს შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კარგი მოსავალი მოიწიეს და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხილ-ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა. 1 დეკემბრისათვის დამზადებულია 2.323 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.270 ტონისა, და 1.563 ტონა ხილი, რაც 307 ტონით აღემატება დავალებას.

ხილ-ბოსტნეულის მოსავლის აღება და დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ცეკავშირის კოლექტივის წარმატებებს

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგებით ცეკავშირის კოლექტივმა კვლავ წარმატება მოიპოვა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. ცენტროსოიუზის გამგეობისა და სახელმწიფო ვაჭრობისა და საომბმბარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ცეკავშირის კოლექტივი დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით.

(საქდესი).

5 დეკემბერი საბჭოთა კონსტიტუციის დღეა

დიადი მონაპოვარი



ბევრს შეუძლიათ უყველა მწვერვალს მიაღწიონ! ასე ამბობს მაქსიმ გორკის რომანის „დედის“ ერთ-ერთი გმირი, როცა ოცნებობს იმ დროზე, როცა „ქვეყნად ივლიან თავისუფალი, თავიანთი თავისუფლებით დიდი ადამიანები“. ეს სიტყვები ბევრჯერ უოფილა მოყვანილი სტატიებშიც, სხვადასხვა სიტყვიერ გამოსვლებშიც. და მაინც გვინდა კვლავ გავიხსენოთ სწორედ 5 დეკემბერს — საბჭოთა კონსტიტუციის ზეიმის დღეს.

დიახ, თავისუფლებს შეუძლიათ ყველა მწვერვალს მიაღწიონ! და ეს ნათლად ჩანს საბჭოთა ხალხის გმირული საქმიანობის ფონზე. დიდი მწვერვალები, რომლებიც ყოველი მხრიდან ჩანს და რომლებზეც ამჟამად ჩვენი ქვეყანა ავიდა ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაში, — აი ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე მკაფიო და ყველაზე უცილობელი დადასტურება იმისა, თუ რა შეუძლია თავისუფალ ადამიანს, რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ხალხს, როცა იგი თავისი ქვეყნისა და მთელი მისი სიმდიდრის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია, როცა მას ბრძოლით მოპოვებული აქვს ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი თავისუფლება — ექსპლოატაციისაგან თავისუფლება.

საბჭოთა სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა. იგი შეიქმნა და აღმოცენდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის შედეგად. ახალი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნით მშრომელებმა შეძლეს დაემარცხებინათ კლასობრივი მტრები, განეშტაკიცებინათ თავიანთი ბატონობა და დაეწყოთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, ამიტომაც ჩვენი კონსტიტუციაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. მის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო ეკონომიურ საფუძველს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სულ ცოტა ხნის შემდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ, რომ ახლა თვითონ თქვენ განაგებთ სახელმწიფოს... თქვენი საბჭოები — ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები“. ამ სავსებით სრულუფლებიან ორგანოებში თავს იჩენს მშრომელთა დემოკრატიის ან, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, მილიონთა დემოკრატიის ძალა. ჩვენს ქვეყანაში საბჭოები ერთიანდებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალაუფლებას და აძლევენ უფროოეს მასებს იმის შესაძლებლობას, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასებისთვის სრული ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს, რადგან მთელი მისი საქმიანობა მამრთულია ხალხის საკეთილდღეოდ. საბჭოთა დემოკრატიის დროშით დაამარცხა ჩვენმა ხალხმა შინაური და გარეშე მტრები, განახორციელა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ფაშიზმზე დიდ სამამულო ომში.

დღეს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული წესები, ჩვენი უფლებრივი და მორალურ-ეთიკური ნორმები ბურჟუაზიული წესებისა და ნორმებისაგან განსხვავებით კი არ ამცირებენ, არამედ ყოველნაირად ამაღლებენ ადამიანს, კი არ ბოჭავენ მის შესაძლებლობებს, არამედ, პირიქით, გასაჭანს აძლევენ ყველა მისი საუკეთესო თვისებების გამოსავლინებლად, უნარისა და ნიჭის გამოსაჩენად. ჩვენი ცხოვრების მთელი წყობა ისეთია, რომ მშრომელმა ადამიანმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად იგრძნო თავი ნამდვილ ადამიანად. იგი ფართოდ სარგებლობს საბჭოთა ყოველდღიურობაში მტკიცედ შესული ყველა პოლიტიკური თავისუფლებითა და სოციალური უფლებით.

საბჭოთა დემოკრატიის დიდი მონაპოვარია ხალხთა მეგობრობა. ჩვენი საბჭოები მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ინტერნაციონალური ორგანოებია. მათში არჩეული არიან და მათი მეშვეობით ხელისუფლებას ახორციელებენ მშრომელები ეროვნებისა და რასის მიუხედავად. ამიტომაც ხალხთა ლენინური მეგობრობის ძმური ოჯახი აყვავდა, გაიფურჩქნა, მოწინავე ერების დონეზე ავიდა წარსულში ჩამორჩენილი მეფის რუსეთის განაპირა მხარეები და მათი ხალხები. ხალხთა მეგობრობის დროშით მოპოვებულ დიდ წარმატებას რომ ეხებოდა მოძმე საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავის ზეიმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა:

„...ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხები მუდამ ერთად არიან — მკაცრი განსაცდელის ყამსაც და ზეიმის სახელოვან დღეებშიც; ისინი ერთმანეთთან აზიარებენ გამარჯვების სიტკბოებასაც და მარცხის ხიმწარესაც, ცხოვრობენ საერთო აზრებით, მიდიან ერთი გზით“.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიისა საბჭოთა დემოკრატია არა მარტო აცხადებს ადამიანთა მოქალაქეობრივ უფლებებს, არამედ კანონით უზრუნველუოფს ამ უფლებათა განხორციელებას. შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით. საბჭოთა ადამიანებს კონსტიტუცია ანიჭებს დასვენების უფლებას, აძლევს მათ ყოველწლიურ შვებულებებს ხელფასის შენარჩუნებით. მშრომელთა დასვენებას და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ფართო ქსელი. ასევე კონსტიტუცია ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეებს მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას. საბჭოთა მოქალაქეები ფართოდ სარგებლობენ ისეთი კონსტიტუციური უფლებებით, როგორიც არის განათლების, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, სინდისის, ეროვნებისა და რასის მიუხედავად თანასწორობის დიადი უფლებანი, რომლებზეც დღესაც ოცნებობენ ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებში მცხოვრებნი.

საბჭოთა კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს არა მარტო უფლებებსა და თავისუფლებას, არამედ აკისრებს მოვალეობასაც სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყროს საერთო ცხოვრების წესებს. საბჭოთა კონსტიტუცია ავალებს თვითეულ მოქალაქეს გაუფრთხილდეს და განამტკიცოს სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა ყოფიერების წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი. კონსტიტუციაში ჩაწერილია: „ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან“. ამიტომ ბრძოლა მუქთახორობის, საზოგადოებრივი ქონების დაშაკაცებელთა, მაქინატორთა, კომბინატორთა, მექრთამეთა და ყველა ჯურის დამნაშავეთა წინააღმდეგ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მთელი საზოგადოების საქმეა, თვითეული საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციური მოვალეობაც არის.

განუზომლად დიდია ის წარმატებები, რაც საბჭოთა დემოკრატიის დროშით მოიპოვა საქართველომ. თავისუფალი შრომით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ნამდვილად დემოკრატიული მოწყობით საქართველომ მიაღწია თავისი განვითარების ჯერ არნახულ, ჯერ არგაგონილ მწვერვალებს. დღეს ვეღარ იცნობთ მის ქალაქებსა და სოფლებს. ყველგან და ყველფერში ჩქეფს სოციალისტური დემოკრატიის ძალა. ამიტომაც მადლიერი ქართველი ხალხი, როცა თავისი სამშობლოს წარსულს აწმყოს ადარებს, ქმაყოფილებით ამბობს: ჩემი ოქტომბერი 50 წლისაა, რითაც დაიწყო ახალი ერა, თავისუფალი საქართველოს ახალი ცხოვრება.

ეშზადები რა თავისი XXIV ყრილობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია რაზმავს ხალხს მერვე ხუთწლეულის წარმატებით დამთავრებისათვის, ახალი შრომითი სიგრძის საქმეების მისაღწევად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ყრილობისათვის მზადებამ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის უდადესი აღმავლობა გამოიწვია, კიდევ უფრო შეაკავშირა საბჭოთა ადამიანები ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა დემოკრატიის დროშით, ლენინის პარტიის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში.



დეპუტატი გამოუცდილებას უზიარებს

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის პროდუქცია იგზავნება როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში, ისე საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. ქარხნის მშრომელები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ სრულუოფ ლითონდასამუშავებელი ჩარხები და აიუვანონ მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

სურათზე: ქარხნის მოწინავე ბარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. სალარიძე (ცენტრში) თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშებს ზ. ხილაქაძეს და ბ. კატკალოვს.

ფოტო ს. კილაძისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხუთწლედის მანძილზე გაუმჯობესდა პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, შეიქმნა ახალი მაღალხარისხოვანი მასალები, მანქანები, ხელსაწყოები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. სამრეწველო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელ რიგ ნაკეთობებს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ამასთან ერთად როგორც ხაზგასმულია დადგენილებაში, მიუხედავად იმისა, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვება დიდ ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და მომხმარებელთა სამართლიან საყვედურს იწვევს, ჯერჯერობით ბევრი საწარმოს ნაკეთობანი მთლიანად ვერ შეესაბამება სათანადო მოთხოვნებს. სამინისტროებსა და უწყებებს არ გაუშლიათ საჭირო მუშაობა არსებულ სიმძლავრეთა უფრო სრული და რაციონალური გამოყენებისა და თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შედეგად პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის მითითებათა რეალიზაციისათვის, სუსტად იყენებენ სტანდარტებს, როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

მაგალითად დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მაგი მეტალურგიის სამინისტრო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო, ქიმიური მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სტანდარტების დროულად დანერგვის უზრუნველსაყოფად და შემწყნარებლურად ეკიდებიან სტანდარტების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს.

საკმაოდ ქმედითი არ არის სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი. პროდუქციის ხარისხი ჯერაც ვერ გახდა საწარმოების საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი და საწარმოებს მთელ რიგ შემთხვევებში არ ეკისრებათ მატერიალური პასუხისგებლობა ისეთი პროდუქციის რეალიზაციისათვის, რომლის დამზადების დროს დარღვეულია სტანდარტების მოთხოვნები და ტექნიკური პირობები.

ზოგჯერ თვით სტანდარტები და ტექნიკური პირობებიც არ ასახავენ ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნებს პროდუქციის ხარისხისადმი. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სტანდარტების როლი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, შემცირდეს ახალი ტექნიკის შექმნისა და ათვისების ვადები, დაჩქარდეს სპეციალიზებულ საწარმოთა შექმნა, შემცირდეს პროდუქციის გამოშვების ხარჯები და გაიზარდოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეიმუშაონ და თვითეულ საწარმოსა და დარგში განახორციელონ ღონისძიებები არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო სრული და რაციონალური გამოყენების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებლად, აგრეთვე ხარისხის შემმოწმებელი უწყვეტი ინსპექციების, საწარმოთა ტექნიკური კონტროლის ორგანოებისა და მეტროლოგიური სამსახურების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად და სტანდარტების და ტექნიკური პირობების დროულად ამოქმედებისა და ზუსტად დაცვისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, გაანხორციელონ ღონისძიებანი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შემუშავების ძირეულად გაუმჯობესებისათვის, მათი მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, რათა მყვეთრად გაიზარდოს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების როლი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და 1972 წლის მოლიანად შეიცვალოს ახალი ტექნიკური პირობებითა და სტანდარტებით სახალხო მეურნეობაში მოქმედი, 1966 წლამდე დამტკიცებული ტექნიკური პირობები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს მიეცა წინადადება სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1971-1975 წლებში გადასინჯოს 1966 წლამდე დამტკიცებული ყველა სტანდარტი. აგრეთვე მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ თვითეული მომდევნო ხუთწლედის მანძილზე, როგორც წესი, გადასინჯოს და განახლდეს ყველა მოქმედი სტანდარტი და ტექნიკური პირობა, რათა შეიცვალოს მათი მოძველებული მაჩვენებლები და სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში დროულად ასახოს ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მოსახლეობისა და ეკსპორტის მოთხოვნები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებელთა გაუმჯობესების სამუშაოთა დაგეგმვის საკითხებს, დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, რომ 1971-1972 წლებიდან სახელმწიფო, რესპუბლიკური და დარგობრივი სტანდარტიზაციის გეგმებში შეიტანონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესების, აგრეთვე მიზანშეწონილობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და სასახლო მეურნეობის სხვა დარგების ნაკეთობათა უნიფიკაციის დონის ამაღლების დავალებანი; უზრუნველყონ ამ ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის სტანდარტიზაციის სამუშაოთა უპირატესი წარმოება, რომელთა ხარისხი გადაწყვეტს გავლენას ახდენს მანქანების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და სხვა სამრეწველო ნაკეთობების, აგრეთვე სასახლო მოხმარების საქონლის ტექნიკურ-ეკონომიურ მახასიათებლებზე, საიმედოობასა და ხანგამძლეობაზე.

სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ წინადადება 1972 წლიდან მრეწველობის დარგების განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში შეიტანონ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტანდარტების დანერგვისა და იმ პროდუქციის მოცულობის გადიდების დავალებანი, რომლებსაც მიენიჭათ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ახალ ნაკეთობათა შექმნის ტექნიკურ დავალებებში დაადგინონ სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დონე (სტანდარტული თუ უნიფიცირებული დეტალებითა და კვანძებით ნაკეთობათა აღჭურვის დონე); სტანდარტიზაციის მეთაურ და საბაზო ორგანიზაციებში აუცილებლად მოაწყონ პროექტების ექსპერტიზა, რათა გამოავლინონ შეესაბამება თუ არა სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დონე ტექნიკურ დავალებებს; საკონსტრუქტორო ბიუროების გენერალურ და მთავარ კონსტრუქტორებსა და ხელმძღვანელებს დააკისრონ პერსონალური პასუხისმგებლობა ახლად შემუშავებულ ნაკეთობათა სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის; 1971-1972 წლებში გადასინჯონ ტიპობრივი ზომისა და პარამეტრული წყობის მაკომპლექტებელი აგრეგატები, კვანძები და დეტალები. მათთვის შეიმუშაონ შესაბამისი სტანდარტები და ოპტიმალური საბაზო კონსტრუქციები მათი რაციონალური ნომენკლატურის დასადგენად.

მიჩნეულია მიზანშეწონილად, რომ შეიქმნას და დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის სტანდარტების დანერგვისა და ხარისხის სახელმწიფო ატესტაციის სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს დაეკალა 1971-1974 წლებში სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს სტანდარტების კომპლექსი მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიური მომზადების ერთიანი სისტემისათვის. ამ სისტემამ უნდა დაადგინოს ტექნოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავების ერთიანი წესი და უზრუნველყოს ტიპობრივი ტექნოლოგიური პროცესების, სტანდარტული აღჭურვისა და მოწყობილობის ფართოდ გამოყენება.

დადგენილებაში გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1971-1972 წლებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო სტანდარტების კომპლექსი, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკურ დავალებათა დამტკიცების, პროდუქტების ექსპერტიზის მოწყობის, საცდელი ნიმუშების გამოცდის, ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისებაზე ნებართვის გაცემისა და სერიული პროდუქციის საკონტროლო გამოცდების მოწყობის წესს.

სპეციალისტთა მოსამზადებლად, რომლებსაც უნარი შესწევთ გადაწყვეტონ ამოცანები სტანდარტიზაციისა და ნაწარის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განხილოს საკითხი ტექნიკური და ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო პროგრამაში სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის საფუძვლების შეტანის შესახებ.

სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს მინიჭებული აქვს უფლება:

— შეამოწმოს ნერჩევი ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი და მზა ნაწარის ხარისხი საწარმოებში, ვაჭრობის ორგანიზაციებში, გამსაღებელი ორგანიზაციების ბაზებში და აუარეალის საწარმოებს უხარისხო, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შეუსაბამო პროდუქციის მიწოდება, ხოლო საავტრო და გამსაღებელ ორგანიზაციებს — მათი რეალიზაცია;

— პროდუქციის ხარისხის შემოწმებისათვის გამოიყენოს პროდუქციის მწარმოებელი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები და მომხმარებლები, საწარმოების, ორგანიზაციების, ხარისხის ინსპექციებისა და ტექნიკური კონტროლის ორგანოების სპეციალისტები და ტექნიკური საშუალებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თუ საწარმოებსა და ორგანიზაციებმა რეალიზაცია უყვეს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით დამზადებულ პროდუქციას, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ამ პროდუქციისათვის მიღებული მოგების მთელი თანხა გადაირიცხება ბიუჯეტის შემოსავლის ფონდში და არ შეეკ საწარმოს, ორგანიზაციის საანგარიშგებო მონაცემებში პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმის შესრულების შესახებ.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სსრ კავშირის პროკურატურასთან და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან ერთად დაევალა შეიმუშაოს და განაზოგადოს უხარისხო არასტანდარტული და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა და შეიმუშაოს ამ კანონმდებლობის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი, რათა თანამდებობის პირნი, რომლებიც სისტემატურად ურიგდებიან უხარისხო პროდუქციის გამოშვებას, დაუსჯელი არ დარჩნენ.

სახალხო კონტროლის ორგანოებს მიეცათ მითითება გააძლიერონ ყურადღება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების დაცვის საკითხებისადმი და მკაცრად მოსთხოვონ პასუხი თანამდებობის პირებს, რომლებიც შეურიგდნენ უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

სპეციალისტთა მოსამზადებლად, რომლებსაც უნარი შესწევთ გადაწყვეტონ ამოცანები სტანდარტიზაციისა და ნაწარის ხარისხის გაუმჯობესების დარგში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განიხილოს საკითხი ტექნიკური და ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო პროგრამაში სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის საფუძვლების შეტანის შესახებ.

სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს მინიჭებული აქვს უფლება:

— შეამოწმოს ნერჩევი ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი და მზა ნაწარის ხარისხი საწარმოებში, ვაჭრობის ორგანიზაციებში, გამსაღებელი ორგანიზაციების ბაზებში და აუარეალის საწარმოებს უხარისხო, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შეუსაბამო პროდუქციის მიწოდება, ხოლო საავტრო და გამსაღებელ ორგანიზაციებს — მათი რეალიზაცია;

— პროდუქციის ხარისხის შემოწმებისათვის გამოიყენოს პროდუქციის მწარმოებელი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები და მომხმარებლები, საწარმოების, ორგანიზაციების, ხარისხის ინსპექციებისა და ტექნიკური კონტროლის ორგანოების სპეციალისტები და ტექნიკური საშუალებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა მიაჩნიათ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ამოცანად სოციალისტური წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და საჭიროდ მიაჩნიათ უახლოეს წლებში უზრუნველყონ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის საკითხებისადმი დამოკიდებულების ძირეული შეცვლა. მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლა შედამ უნდა იყოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ხკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხრეთი, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალეს ამ ამოცანათა გადაწყვეტაში ჩაბმა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა ფართო მასები, ჩაუნერგონ მათ ჭარხნის მარკის ღირსებისათვის პასუხისმგებლობისა და სიამაყის გრძნობა, უფრო ფართოდ გამოიყენონ მოსკოვის, ლენინგრადის, სარატოვისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მოწინავე საწარმოთა კოლექტივების გამოცდილება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი სტანდარტიზაციის განვითარებას, მაქსიმალურად გამოიყენონ იგი პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება ტექნოლოგიური დისციპლინის, სტანდარტების და ტექნიკური პირობების დარღვევის ფაქტებისადმი, დაუწესონ ყოველდღიური კონტროლი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისაში. საჭირო დახმარება გაუწიონ სამ

კარტიული ცხოვრება

სახელმწიფო თეატრის ფართო დარბაზი დილეგრატებით არის სავსე. აქ არიან საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, მათ შორის 24 სოციალისტური შრომის გმირი, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

კონფერენციის ტრიბუნაზე მოკამათენი ცალიან ერთმანეთს. ისინი საფუძველიანად ბრალდებენ პარტიის რაიონული კომიტეტის ანგარიშს, იჯავრებენ მშრომელთა მუშაობის ნაყოფს.

და მართლაც რომ ბევრი რამ აქვთ სათქმელი მახარაძელ კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომლებიც ენერგიულად იღებენ სკკპ XXIV ყრილობის დირსეულად შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ფომბსენებელი — პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ა. თოიძე** და სიტყვებით გამოსული დელეგატები ლაპარაკობენ საანგარიშო პერიოდში გაწეულ პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაზე, საზოგადოებრივი მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, საწარმოდაწესებულებების, სამეცნიერო და კულტურის კერების ნაყოფიერ მოღვაწეობაზე.

დიდი ლენინის იდეური მემკვიდრეობის შესწავლამ კიდევ ოთხრა ათასი იდეოლოგიური მუშაობის დონე, გაამდიდრა მისი მეცნიერული შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდ როლს ასრულებს კარადა მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რასაც ათასზე მეტი აგიტატორი და 170 პოლიტინფორმატორი ეწევა.

რაიონის პარტიული ორგანიზაციის რიგებში 6.508 კომუნისტია. ისინი ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ ეშურებენ, რათა გაამართლონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, იყონ სამაგალითონი შრომაში.

კონფერენციის ტრიბუნიდან მომხსენებლემა და კამათის მონაწილე დელეგატებმა შეაქო რაიონის სამრეწველო საწარმოები, მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა რიგებში 1.200 კომუნისტია.

და ეს იმიტომ, რომ ხუთწლიდის დავალებანი მათ ადრევდე შეასრულეს — გათვალისწინებული 314 მილიონი მანეთის ნაცვლად სამშობლოს მისცეს 333 მილიონი მანეთის პროდუქცია. მრეწველობის მუშაობმა ვადაზე ორი თვით ადრე 111 პროცენტით გაანაღდეს მიმდინარე წლის გეგმები. ამასთანავე დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციები („საქკოთამშენის", საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბერლეთის, ტანტანების ლენინის სახელობის, ძიმითის, ასკანის, მთისპირის, მზიანის, კოზმიკათის, ლიხაურის, მშვიდობაურის, ბოხეთრის კოლმეურნეობებმა, ლაითურის, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც კონფერენციის დელეგატი გ. წიქარიძე ხელმძღვანელობს, საანგარიშო პერიოდში 580 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიბა.

ბრიგადა ბ. ბაღოშვილის ხელმძღვანეობით, ... მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. მათ ვერც ჩრდილოელან მზარეულს ალარეს ვერ.

სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა: **გრ. ლეფავამ** (მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი), **ე. გოგუაძემ** (რაიონის პროკურორი), **მ. ბზიავამ** (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი), **ი. მგალობლიშვილმა** (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი), **გ. ხალუქვაძემ** („ბარეთ-ჰესის" დირექტორი), **ა. მიმინოშვილმა** (აბრეშუმის ძაფსაღებავარეხი ფაბრიკის პარტკომის მდივანი) ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ დარაზმეს პარტიულმა ორგანიზაციებმა ძალები პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს ნახევარასაკონფერენციო ოთხეულის დირსეულად შეხვედრისათვის.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ა. ბურგენიძე,
რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშა" რედაქტორი.

ხვალინდელზე ფიქრით

მახარაძელთა კონფერენციაზე

№ 4 და „საქკონსერვხილბოსტნის" სამშენებლო უბნები), რომლებიც მთელი მონდომებით არ იბრძვიან დავალების შესრულებისათვის. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ადრეული საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის ორგანიზაციის საბჭო (თავმჯდომარე შ. დობორჯგინიძე), რომელიც ვერ იყენებს მის განკარგულებაში არსებულ რეზერვებს, დაუშვებლად ცოტა მოსავლიანობა ნაპირიდან 40 კილომეტრამდე მანძილზე თანდათან მატულობს იმის შედეგად, რომ აუზში დიდი რაოდენობით ჩაედინება ატომური მრეწველობის ნარჩენები.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ი. ი. კუსტომ ეკონომისტებს უთხრა, რომ ბუნებასა და ადამიანთა ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებენ ადრეული სხვა თაქტორები. კერძოდ, ხმელთაშუა ზღვას გამუდმებით აბინძურებენ ამონით დიდი და პატარა გემი, რომლებიც ხშირად გაშლილ ზღვაში და უმეტესად ნაპირების ახლოსაც კი რეცხავენ ავზებს.

„ზღვა საფრთხეშია, და ეს იმის ნიშნავს, რომ საფრთხეშია ადამიანობის ბედი, რადგან სიცოცხლე დედამიწაზე მთლიანად დამოკიდებულია წყლის მომარაგებაზე ბუნებაში", — განაცხადა კუსტომ.

ფაქტები

რასისტთა წინააღმდეგ

● ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყანას გაუყვიტოს ყოველნაირი ურთიერთობა სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმთან. რეზოლუციას ხმა მისცა 79 დელეგაციამ.

კლებერის ავენიუზე

● პარიზი. (საკდესი). დღეს აქ საერთაშორისო კონფერენციათა სახლში კლებერის ავენიუზე გაიმართა ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი თათბირის მორიგი, 93-ე სხდომა.

ბაზარი სეატოში

● პარიზი. (საკდესი). საფრანგეთი არ მონაწილეობს და არ მიიღებს მონაწილეობას სეატოს სამხედრო საქმიანობაში. ეხეთი განცხადება გააკეთეს საფრანგეთის ავტორიტეტულმა წრეებმა სეატოს გენერალური მდივნის ხესუს ვარგასის ამასწინანდელი განცხადებების გამო. როგორც იმავე წრეებში აღნიშნავენ ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ეს პოზიცია შეიცვალოს.

სრული თანხმობა

● კაირო. (საკდესი). არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და იორდანიას ერთიანი აზრი აქვთ იმის შესახებ, რომ აუცილებელია სრული თანამშრომლობა არაბეთის ქვეყნების ღონისძიებათა კოორდინაციის, მათი უფლებებისა და ისრაელის აგრესიისათვის საკადრისი პასუხის გაცემის საქმეში. ეს ნათქვამია ეგვიპტე-იორდანიის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც დღეს აქ გამოქვეყნდა კაიროში იორდანიის მეფე ჰუსეინის ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ.

დახრილი კოშკი

● ვარშავა. (საკდესი). ვროცლავის საკოეოდოს პატარა ქალაქ ზომბკოვიცეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა დახრილი კოშკი. კოშკი დგას დასახლებული პუნქტის ცენტრში. მისი სიმაღლეა 34 მეტრი, დახრილობა — დაახლოებით 1,5 მეტრი. მაგრამ ეს დახრილობა არ იზრდება. კოშკი გადაიხარა მე-16 საუკუნეში ქალაქის მახლობლად მომხდარი მიწისძვრის შედეგად. პოლონელი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ კოშკი აშენდა დაახლოებით 1300 წელს, როგორც ძველი ზომბკოვიცეს ციხე-სიმაგრის დასაცავი მასტიონი.

ფაქტები

მსოფლიო დღეს

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

საქართველოს პრესა ბერლინის თათბირის მუშაობის შესახებ

ბუქარესტი. დიდი სათაურებით დაბეჭდეს რუმინეთის გაზეთებმა ამ დოკუმენტების ტექსტები, რომლებიც მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირმა.

ლონდონი. თუმცა ცნობები დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირმა მიიღო, მხოლოდ გვიან ღამით მოვიდა ინგლისის დედაქალაქში, ლონდონის გაზეთებმა მოასწრეს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების შესახებ მოეთავსებინათ ინფორმაცია პირველ გამოშვებებში.

ნიუ-იორკი. ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირის დოკუმენტებს. აშუქებს რა თათბირზე მიღებულ განცხადებებს, „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბერლინელი კორესპონდენტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს თათბირის მონაწილეთა მოწოდებას, რომ რაც შეიძლება მალე მოიწვიონ სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე და მათ რწმენას, რომ არ არის რაიმე საფუძველი დაყოვნდეს ასეთი თათბირის მოწვევა.

ზღვა საფრთხეშია

რომი. 4 დეკემბერი. (საკდესი). თუ ხმელთაშუა ზღვის გაჭუჭყიანება ახლანდელი ტემპით გაგრძელდა — იგი „მოკვდება" ადამიანთა ორიასამი თაობის ცხოვრების განმავლობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი გახდება დამპალი წყლის აუზი, არა მარტო უფროსების ცხოვრებისათვის, არამედ აგრეთვე ხაშიში ადამიანებისათვის, რომლებიც მის ნაპირებზე ცხოვრობენ.

ასეთი დასკვნა გამოიტანა ევროპის სამასზე მეტმა მეცნიერმა, რომლებიც შეიკრიბნენ იტალიის დედაქალაქში ხმელთაშუა ზღვის გამომკვლევი საერთაშორისო კომისიის 22-ე ყრილობაზე.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე გამოსულმა ხმელთაშუა ზღვის გამომკვლევი საერთაშორისო კომისიის გენერალურმა მდივანმა, ერთ-ერთმა გამოჩენილმა სპეციალისტმა — ოკეანოლოგმა ჟან ივ კუსტომ (საფრანგეთი) მოიყვანა ხმელთაშუა ზღვის გაჭუჭყიანების მრავალი მაგალითი. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ 1920 წლიდან ტაგანროგის პროკვინტალური შემკვლევლობა წყალში 300-მეტრამდე სიღრმეზე ერთიანეთად ადიდდა. ხმელთაშუა ზღვაში ბაჭრა ზოგიერთი ჭიის თევზი, ხოლო სხვები თანდათან იღუპება. საფრანგეთის ნაპირებთან რაიონში, სადაც ხმელთაშუა ზღვას ერთვის რონა, წყლის რადიოაქტიურობა

აგრესიის მონაწილე გეიპამგობს

დაკარი, 4 დეკემბერი. (საკდესი). გვინეის რადიომ გუშინ გადასცა პორტუგალიელი სამხედრო მოსამსახურის ლეიტენანტ პაო ჟანუარ ლოპეშის მაგნეტოფონის ფირზე ჩაწერილი ჩვენება.

ლოპეშმა თქვა, რომ პორტუგალიელ სამხედრო მოსამსახურეთა დიდ ჯგუფთან ერთად მან საეციალური მომზადება გაიარა გვინეაში (ბისაუ). ოპერაციის დაწყების წინ მათ წინაშე გამოვიდა გვინეის (ბისაუს) გენერალ-გუბერნატორი და პორტუგალიის კოლონიური ჯარების მთავარსარდალი გენერალი ანტონიუ სპინოლა. მან აღუთქვა, რომ ოპერაცია წარმატებით დამთავრდება, და განაცხადა, ეს ოპერაცია 10-15 დღეში დამთავრდებაო.

როცა ხომალდები კონაკრის მიუახლოვდნენ, თქვა ლოპეშმა, ყველა პორტუგალიელმა გადაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და ხელ-პირი შავი საღებავით შეიღება.

ნაპირზე გაჩასვლის წინ მიღებულ ბრძანებაში ჩამოთვლილი იყო გვინეის დედაქალაქის 52 სტრატეგიული პუნქტი, რომელიც მათ უნდა დაეკავებინათ.

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"

ამას თვითონ ისინი ამბობენ

საზოგადოებას, რომელსაც სიმდიდრითა და დემოკრატიით გამოუდგია თავი, მილიარდები და ქარცვის უფლება მოაჭვს ერთეულთათვის, სილატაკე და პოლიციელთა ხელკეტები — უმრავლესობისათვის. შორეული ვიეტნამის ჯუნგლებში სიკვდილის თავისუფლება მოსოკოლიათა ინტერესებისათვის. აი რას ლაპარაკობენ ამერიკელები ამერიკის შესახებ.

ჯეიმს პირსონი, სენატორი — რესპუბლიკელი:

„ჩვენს ქვეყანაში განსაცვიფრებლად ძვირია სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევა...

ჩვენი მმართველობის ფორმა ეყრდნობა მტკიცებას, რომ ხალხის წარმომადგენლები არჩეულ უნდა იქნან მათი დამსახურებისა და უნარის მიხედვით და არა ფინანსური წონით... მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ მე ეს უნდა ვაღიარო, ჩვენს ქვეყანაში წარმომადგენლობითი თანამდებობის დაკავების პერსპექტივა პირდაპირ პროპორციულია ფულის რაოდენობასთან კანდიდატის ჯიბეში და არა მის ტვინთან, უანგარობასთან და მიზანსწრაფულობასთან".

(აშშ-ის სენატში გამოსვლიდან 13. 10. 70 წელს).

რამსეი კლარკი, აშშ-ის უოფილი იუსტიციის მინისტრი:

„ამერიკაში იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი სისტემა არ მოქმედებს ისე, როგორც საჭიროა... როგორც ჩანს, არ შეგვიძლია სწრაფად ვადაეგრეთ მოსახლეობის ზრდის, დანაშაულობების, რასობრივი ჩაგვრის, ატმოსფეროს დაბაგვიანების პრობლემები. მრავალ არსებულ სამმართველოთა შორის პირველ ადგილზე ომია... ჩვენი სისტემა ვერ ამუშავდა — კანონმდებლობამ ვერ შეაჩერა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედება.

ჩვენს ეროვნულ ხასიათში არსებული მიდრეკილება ძალადობისადმი სწრაფი ტემპებით ვითარდება, არანაკლებ სწრაფი ტემპით ვკარგავთ ნდობასა და კარგ დამოკიდებულებას მსოფლიოში. განა შეუძლიათ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს გულწრფელად მოეკიდონ მათ, ვინც ათასობით მილს იქით გზავნის თავის ბომბდამშენებს, რათა სიკვდილი დათესოს ინდოჩინეთის მოსახლეობაში..."

(ჟურნალი „ფორინ აფერსი", 1970 წლის მე-4 კვარტალი).

ედმუნდ მასკი, სენატორი — დემოკრატი:

„საკმარისია გადახედო იმას, რაც ინდოჩინეთში მოხდა, და იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, რათა დარწმუნდე ჩვენი პოლიტიკის ულაზრობაში. ომმა იმედი გაუცრუა ახალგაზრდობას, რომელიც ეჭვს ქვეშ აყენებს ამერიკელთა ეროვნულ სინდისს.

ეუმიდობა, შიში, უძლურობის გრძნობა წამოვიდა ჩვენს დამოკიდებულებას ერთმანეთთან... თუმცა სიტყვის თავისუფლებას პრინციპში მიესალმებიან, მას სდევნიან, როდესაც მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებენ... გამოიგონეს ტერმინი „მდუმარე უმრავლესობა", რათა დაპირისპირებინათ იგი მათთვის, ვინც არ ეთანხმება პრეზიდენტს.

(ჟურნალი „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინი", 5. 7. 70 წელს).

ჯ. მორლი, რიგითი ამერიკელი:

„როგორც პატიოსანი ამერიკელი, გთხოვთ მიპასუხოთ: რისთვის ან ვისთვის ებრძვიან ჩვენი შვილები? რათ გვინდა ასეთი პოლიტიკა, რომელიც აკოტრებს ფერმებს, წვრილ საწარმოებს და ზღუდავს ადგილობრივ თვითმმართველობას? ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვიეტნამელთათვის „თავისუფლება" მიგვაქვს. მაგრამ მე მგონია თავისუფლება და დამოუკიდებლობა უპირველეს ყოვლისა ჯერ საკუთარ სახლში უნდა დაამყარო. როგორ უნდა მოუტანო თავისუფლება სხვებს, თუ ის შენს სახლში არა გაქვს?"

(ჯ. მორლის დია წერილიდან პრეზიდენტისადმი. წაიკითხეს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე 13. 10. 70 წელს).

თავისუფლების ძეგლი ამერიკულად.

ნახ. რ. სანადირაძისა.

უსამართლობა, ძალმომრეობა

ნიუ-იორკი. 4 დეკემბერი. (საკდესი). როჩესტერის (ნიუ-იორკის შტატი) საოლქო სასამართლომ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა ომის საწინააღმდეგო მოძრაობის 8 აქტივისტს, რომლებიც 6 სექტემბერს შეიპარნენ არმიაში გაწვევის სამმართველოს შენობაში და დოკუმენტების ნაწილი მოსპეს. როგორც სასამართლოს დროს ხაზგასმით აღნიშნეს ამერიკელმა აქტივისტებმა, ეს ჩაიდინეს იმ აგრესიული ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აწარმოებს.

პარიზი. 4 დეკემბერი. (საკდესი). ესპანეთში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა თექვსმეტი ბასკი პატრიოტის სასამართლო პროცესის წინააღმდეგ. ისინი დღეს წარდგნენ ბურგოსის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე.

გაფიცვებმა და საპროტესტო მანიფესტაციებმა უმთავრესი გაქანება მიიღეს ბისკაის პროვინციაში, იუწყება ფრანს პრესის საგაზეთო მადრიდიდან.

ბილბაოში შეწყვეტილია მუშაობა მეტალურგიული მრეწველობის თითქმის ყველა დიდ საწარმოში და გემთსაშენებში. ბევრმა ეკლესიამ პროტესტის ნიშნად მაღაროები დაკეტა. აქტიური ცხოვრება ჩაკვდა მეგალურთა ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში — ბერმეოში, რომელიც 20 კილომეტრზე მდებარეობს ბილბაოდან.

მუშაობა შეწყვიტეს ქალაქ გერნიკის ყველა საწარმოს მშრომელებმა. ქალაქში მთლიანად მოშლილია ვაჭრობა.

ქაპიტალისტურ ჯუნგლებში

საკანში გამოძღყვდეული დემოკრატია

საპყრობილის დილეგები და რკინის გისოსები ისევე დამახასიათებელია კაპიტალისტური სინამდვილისათვის, როგორც მუსა და რკო სოფლის პეიზაჟისათვის. ოცდაათი წელია ვმოღვაწეობ როგორც ჟურნალისტი და მწერალი და ამ ხნის მანძილზე არა ერთხელ მივლია საპყრობილის ლაბირინთებში, როგორც მეტყველეს უღრან ტყეში.

ამერიკის ერთ-ერთი საპყრობილის საკანში დამწყვდეულია ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, სიმართლისათვის უშიშარი მებრძოლი, ბერკლის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი ზანგი ქალი ანჯელა დევისი.

დარწმუნებული ვარ, ამჟამად არ არის ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს ეს სახელი. ათასობით ამერიკელი უერთდება მოძრაობას მის დასაცავად. ზანგები და თეთრკანიანები მრისხანედ მოითხოვენ კომუნისტი დევისის განთავისუფლებას, რომელსაც სიკვდილი ემუქრება.

როგორც წარსული თაობის სიცოცხლეში კალიფორნიის მაშინდელ გუბერნატორს უნდოდა გალერებზე გაეგზავნა ტომ მუნი, ისე მის ახლანდელ მმართველს რეიგანს განზრახული აქვს სიკვდილით დასაჯოს ანჯელა დევისი ისეთი თანამედროვე ხერხის გამოყენებით, როგორიც არის გაზის კამერა.

ვერც ერთი საქმე, რომელიც კი გარჩეულა შეერთებული შტატების სასამართლოებში ამ უკანასკნელ ათ წელიწადში, თავისი მნიშვნელობითა და ხასიათით ვერ შეედრება დევისის საქმეს. მას უარი ეთქვა იმის უფლებაზე, რომ მისი საქმე დემოკრატიულ სასამართლო პროცესზე გაირჩეს. ყოველივე ეს მაკარტიზმის საშინელ დროს მოგვაგონებს.

მე ინტერვიუ გამოვართვი დევისის დას, ფანი ჯორდანს, მეოთხე დღეს მას შემდეგ, რაც ანჯელამ შიმშილობა გამოაცხადა. მან მოახერხა მიეღო ნებართვა, რომ ენახულა საპყრობილეში თავისი და.

ფანის თხრობა იწყება 1964 წლის იმ საშინელი დღიდან, როცა მისი მეზობელი ოთხი მოსწავლე ბომბით მოკლულ იქნა საკვირაო სკოლაში. „ყველანი ჩვენი მეგობრები იყვნენ, ერთად ვიზრდებოდით, — ამბობს ფანი,—იქნებ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, „კანონიერებისა და წესრიგის" დაცვის რომ ქადაგებს, აგვიხსნას, რატომ დარჩა დაუსჯელი ეს საზიზღარი დანაშაული?".

არ ვიცი, ამერიკაში რამდენი თეთრკანიანისათვის გახდა ცნობილი ეს და ათობით ამის მსგავსი დანაშაული. რამდენი ასეთი დანაშაული დარჩა უცნობი და დაუსჯელი?

ანჯელა დევისის საქმე რომ გავიგოთ, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი მეგობრების დაღუპვა. თვითეულმა ამერიკელმა უნდა შეიგნოს, რას ნიშნავს ტერმინი „გენოციდი". შავი ფერის ამერიკელი მოქალაქე იბადება და იზრდება საშინელი კომშარის პირობებში. და ეს გაზვიადებული როდია.

ანჯელა დევისი განმარტოებულ საკანში გადაყვანილ იქნა მას შემდეგ, რაც საპყრობილის უფროსებმა დაინახეს, რომ მის მეზობელ საკნებში მყოფნი სიმპათიით ეკიდებოდნენ და მისადმი სოლიდარობას გამოთქვამდნენ. მას აუკრძალეს მათთან ურთიერთობა გასეირნების დროსაც კი. მის საკანთან დღედაღამ მორიგეობს ზედამხედველი, რომელიც ყოველ ნახევარ საათში იყურება „საჭვრეტში" და დღეღამეში ექვსჯერ ჩხრეკს საკანს.

ერთ დროს ანჯელას წიგნების კითხვაც კი აუკრძალეს, რომლებსაც იგი სკოლის მერხიდანვე არ იშორებდა.

ხელისუფლებს ეშინიათ ანჯელასი, ეშინიათ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეებისა.

და არა მარტო იმათი, ვისაც საპყრობილეში ამყოფებენ. მათ ეშინიათ დაპატიმრებულთა ოჯახებისა და მეგობრებისა. ფანიმ მიამბო დასთან შეხვედრის პროცედურაზე. „ჯერ, როცა შედიხართ, ზედამხედველი გაძლევთ თქვენი რიგის ნომერს. მისაღებში ყოველთვის ორმოდაათამდე კაცია, რომლებიც თავიანთი რიგს ელიან. ცნობათა სარკმელში ქალი იძახებს შემდეგ ნომერს... როცა თქვენსას იტყვის, უნდა მიხვიდეთ სარკმელთან და აჩვენოთ თქვენი საბუთი. მას შემდეგ, რაც ყველა ეს ფორმალობა შეავსრულე, ისევ დამრჩა, რომ ემჯდარიყავი და მეცადა, როდის ჩამოიყვანდნენ ანჯელას აქ მერვე სართულიდან, სადაც მისი საკანია.

ზედამხედველმა გამომიძახა, მივედი. მეორე ზედამხედველმა ჯასინჯა ჩემი უბის ზიგნაკის შინაარსი. შემდეგ მომცეს იმ სარკმლის ნომერი, რომელთანაც ჩემს დას მოიყვანდნენ. შეხვედრათა დარბაზში ათი ასეთი სარკმელია. ყოველ სარკმელთან ორივე მხრიდან, შიგნიდან და გარეედან, დგას ტელეფონები. ჩემსა და ანჯელას შუა მინაა. ვიღებთ ყურმილებს და ვლაპარაკობთ ტელეფონით, თან ერთმანეთს მინაში ვუცქერით. ძალიან ცუდად ისმის, რადგან ორივე მხრიდან ერევა ხუთ-ხუთი კაცი ლაპარაკობს. ჩვენ ვცდილობთ ყვირილით დავფაროთ ეს ყაყანი. გარკვეული დრო რომ გავიდა, აციმციმდნენ სასიგნალო ნათურები. შეხვედრა დამთავრდა. როცა იქიდან გამოვდიოდი, დავაკვირდი იმათ, ვინც ჩემთან ერთად იყო იმ ოთახში. უმრავლესობა ზანგი ან პუერტორიკოელი ქალები იყვნენ. ნახევის უფლებისათვის რომ მიეღწიათ, ბევრი მათგანი საათობით იდგა რიგში.

„ანჯელა ძალიან გამხდარა, — ამბობს ფანი, — მაგრამ მხნედ უჭირავს თავი, როგორც ყოველთვის მხიარულად და გულღიად გამოიყურება".

ფანი აუდელვებლად ლაპარაკობს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას ბევრი სიძნელე და მწუხარება უნახავს, დაწყებული თავისი მეგობრის ცინტიას დაღუპვით, რომელიც საკვირაო სკოლაში მოკლეს.

მთელ შეერთებულ შტატებში — პიტსბურგში, ბოსტონში, ბერკლინში, ნიუ-იორკში და ბევრ სხვა ქალაქში ამჟამად იქმნება ანჯელა დევისის განთავისუფლების კომიტეტები. მისი საქმისადმი მიპყრობილია ჯასინჯა ჩემი უბის ზიგნაკის შინაარსი. შემდეგ მომცეს იმ სარკმლის ნომერი, რომელთანაც ჩემს დას მოიყვანდნენ. შეხვედრათა დარბაზში ათი ასეთი სარკმელია. ყოველ სარკმელთან ორივე მხრიდან, შიგნიდან და გარეედან, დგას ტელეფონები. ჩემსა და ანჯელას შუა მინაა. ვიღებთ ყურმილებს და ვლაპარაკობთ ტელეფონით, თან ერთმანეთს მინაში ვუცქერით. ძალიან ცუდად ისმის, რადგან ორივე მხრიდან ერევა ხუთ-ხუთი კაცი ლაპარაკობს. ჩვენ ვცდილობთ ყვირილით დავფაროთ ეს ყაყანი. გარკვეული დრო რომ გავიდა, აციმციმდნენ სასიგნალო ნათურები. შეხვედრა დამთავრდა. როცა იქიდან გამოვდიოდი, დავაკვირდი იმათ, ვინც ჩემთან ერთად იყო იმ ოთახში. უმრავლესობა ზანგი ან პუერტორიკოელი ქალები იყვნენ. ნახევის უფლებისათვის რომ მიეღწიათ, ბევრი მათგანი საათობით იდგა რიგში.

„ანჯელა ძალიან გამხდარა, — ამბობს ფანი, — მაგრამ მხნედ უჭირავს თავი, როგორც ყოველთვის მხიარულად და გულღიად გამოიყურება".

ფანი აუდელვებლად ლაპარაკობს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას ბევრი სიძნელე და მწუხარება უნახავს, დაწყებული თავისი მეგობრის ცინტიას დაღუპვით, რომელიც საკვირაო სკოლაში მოკლეს.

მთელ შეერთებულ შტატებში — პიტსბურგში, ბოსტონში, ბერკლინში, ნიუ-იორკში და ბევრ სხვა ქალაქში ამჟამად იქმნება ანჯელა დევისის განთავისუფლების კომიტეტები. მისი საქმისადმი მიპყრობილია ჯასინჯა ჩემი უბის ზიგნაკის შინაარსი. შემდეგ მომცეს იმ სარკმლის ნომერი, რომელთანაც ჩემს დას მოიყვანდნენ. შეხვედრათა დარბაზში ათი ასეთი სარკმელია. ყოველ სარკმელთან ორივე მხრიდან, შიგნიდან და გარეედან, დგას ტელეფონები. ჩემსა და ანჯელას შუა მინაა. ვიღებთ ყურმილებს და ვლაპარაკობთ ტელეფონით, თან ერთმანეთს მინაში ვუცქერით. ძალიან ცუდად ისმის, რადგან ორივე მხრიდან ერევა ხუთ-ხუთი კაცი ლაპარაკობს. ჩვენ ვცდილობთ ყვირილით დავფაროთ ეს ყაყანი. გარკვეული დრო რომ გავიდა, აციმციმდნენ სასიგნალო ნათურები. შეხვედრა დამთავრდა. როცა იქიდან გამოვდიოდი, დავაკვირდი იმათ, ვინც ჩემთან ერთად იყო იმ ოთახში. უმრავლესობა ზანგი ან პუერტორიკოელი ქალები იყვნენ. ნახევის უფლებისათვის რომ მიეღწიათ, ბევრი მათგანი საათობით იდგა რიგში.

„ანჯელა ძალიან გამხდარა, — ამბობს ფანი, — მაგრამ მხნედ უჭირავს თავი, როგორც ყოველთვის მხიარულად და გულღიად გამოიყურება".

ფანი აუდელვებლად ლაპარაკობს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას ბევრი სიძნელე და მწუხარება უნახავს, დაწყებული თავისი მეგობრის ცინტიას დაღუპვით, რომელიც საკვირაო სკოლაში მოკლეს.

მთელ შეერთებულ შტატებში — პიტსბურგში, ბოსტონში, ბერკლინში, ნიუ-იორკში და ბევრ სხვა ქალაქში ამჟამად იქმნება ანჯელა დევისის განთავისუფლების კომიტეტები. მისი საქმისადმი მიპყრობილია

მთელ მსოფლიოში გაისმის მრისხანე ხმები ანჯელა დევისის დასაცავად. მის დასაცავად გამოდიან საერთაშორისო სამართლის, პოლიტიკური, პროფკავშირული წრეების და უნივერსიტეტების ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ პროცესებს, რომლებსაც რეაქციონერები შეთითხნიან ხოლმე, საბოლოო ანგარიშით წყვეტს ყველაზე მთავარი სასამართლო — მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სასამართლო. მე ამას დიდი ხანია მივიხედ მუშათა მოძრაობაში ჩემი მონაწილეობის პირველივე დღეებიდან.

ახლა მთავარი ამოცანაა მიღწეულ იქნას, რომ გუბერნატორმა როკფელერმა უკან წაიღოს თავისი მიწერილობა ანჯელა დევისის გაცემის შესახებ და გულმოდგინედ შეისწავლოს ვითარება, როგორც ამ საქმეს შეეფერის.

ანჯელა დევისი, ზანგი ხალხის, შეერთებული შტატების მთელი ხალხის ნიჭიერი წარმომადგენელი, განთავისუფლებულ უნდა იქნას.

ჯ. ნორტი,
ამერიკელი პუბლიციტისტი.

სამარცხვინო გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. 4 დეკემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის შტატის უმაღლესმა სასამართლომ გუშინ მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკში დაპატიმრებული ამერიკელი კომუნისტი, ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტი ანჯელა დევისი გადასცენ კალიფორნიის შტატის ხელისუფლებს, რომლებიც დევნიან მას პოლიციის მიერ შეთითხნილი ვერსიის საფუძველზე, რომლითაც ა. დევისს ბრალად ედება „თანამონაწილეობა მკვლელობაში".

მოსამართლე ტ. დიკენსმა უარყო დაცვის დასაბუთებული მოთხოვნა ა. დევისის „დამნაშავეობის" საკითხის განხილვის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძმაო, რაი სჯობს ძმობასა“

ხალხური.

გალალებული სტუმარი

ნამდვილი ამბავი

ყვარელფყალში ლეკო ჭოლიკიშვილის ქორწილი იყო. ფშავლებმა დათვლა არ იციან, ქორწილში რამდენ კაცს დაპატიჟებენ, მათ ამორჩევა და გამორჩევა არ იცან. თეთრ ცხენზე შესვამენ „მაპატიჟობელს“ და მთელი სოფლის დასაპატიჟებლად გაგზავნიან.

ფშავლებმა არც ის იციან, ერთი ოჯახიდან ყველანი არ წავიდეთო, რამდენიც არიან, იმდენი მიდიან ქორწილში. მიდიან თავიანთი წეხით და ადათით. ამიტომ არც მექორწილენი ითვლიან დასაჯდომ ადგილებს. წესია, რამდენიც მივა, იმდენს უნდა სცენ პატივი.

ლეკო ჭოლიკიშვილის ქორწილი სწორედ ასეთი იყო — ჩვეულებრივი ფშაური ქორწილი. ეზოში გრძელად გაეშალათ სუფრა. მეზობლის ქალრძლები მარიფათიანობდნენ. ვარცლებით მეზობლის თონეებიდან მოპქონდათ ცხელ-ცხელი შოთები და ლავაშები; სარდაფში იდგა „შეკოდე“ (მეკუპნავი) და ჭიპიტაურით ავსებდა დოქებს, ხელადებს, ჩარქებს, ბოთლებს. იქვე, ეზოს კუთხეში, კეტტაყარილ სპილენძის ქვაბებს ოხშივარი ასდოდა, ხაშლამის სუნი იდგა ირგვლივ.

მზემ საშუადღეოს რომ მიაღწია, დამკვრელებმა გარმონი გაჭიმეს, დოლი გააფიცხეს. ის იყო და, მთელი სოფელი ქორწილისკენ დაიძრა.

მოდიოდნენ ხსვა სოფლებიდან მოწვეული კეთილისმსურველი სტუმრები.

მოდიოდნენ საკაიდღეო წითელ-ყვითელა კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები, მოდიოდნენ და მოჭქონდათ თეთრ ხელსახოცებში გამოკრული საჩუქრები.

თამბაქოს ბოლებით მოვიდნენ ჭალარისნები და ჯვილები.

გალაღებული ბალღები თოფიკების სროლით ეკლებდნენ ოქაურობას, მაგრამ არავინ უმლიდათ—კარგი, გაჩერდითო.

ქორწილი სიხარულისაა.

ლეკო მეცხვარე ბიჭი იყო. სოფელში მისულს იშვიათად დაინახავდნენ. ზაფხულს მთაში ატარებდა, ზამთარს შირაქის ველებზე. სოფელში კარგი ხმა-სმენელი იცნობდნენ. ამიტომ მის ქორწილში მისვლა არავის დაზარებია.

პატარძალი წინა საღამოს ჰკაზდათ მოყვანილი. გათენებამდე ეჭიფფათ ქალის მაჯრებს. დღეს კი მთელი სოფლისა თვის იყო სუფრა გაშლილი.

შუადღისას ხალხი დაჯარდა.

გამოიყვანეს აქამდე დამალული პატარძალი. ნეფის გვერდით ნაბადგადაფარებულ სკამზე დასვეს.

ანალიყოლით მეკვარემ წითელი ვაშლებით შემკული ჯვარი დაუდგა წინ, ნეფის დამ — მდიდარი მაშალა. რას იტყოდით, რომ იმ მაშხალაზე არ ყოფილიყო: ყურძნის მტევანი, ფოჩებიანი კამფეტები, ბაგეგახსნილი ბროწეული, მოხარშული ქათამი, კარგი ფშაური წინდები, აბრეშუმის ცვლილსტიცი... სულ თავში კი წითელი თუმნიანი ელავდა.

მერე ის იყო, ეჯიბმა გრძელი, ლექსადთქმული საქორწილო სადღეგრძელო დაამთავრა, დოლგარმონმა ტუში დაუკრა და სოფლის ბოლოში ზედიზედ გაისმა სროლა. ნიავმა მხედრის ყიჟინა და ცხენის ფლოქვთა თქარათქარიც მოიტანა.

მასპინძლებმა ყურები ცქვიტეს.

გადარეული მხედარი ცხენს დაკიოდა, ყიჟინით იკლებდა თემშარას. ხალხი გაირინდა.

ბაღლები გზაზე გაცვივდნენ.

მალე წყაროსთან ორლობიდან ცხენკაცი გამოვარდა. მხედარმა გაჭაფულ ულაყს რამდენჯერმე კიდევ სწყვიტა მათრახი, შემდეგ ხელი ალმართა და ულრეველო ზეცა ტყვიებით დაცხრილა. ვიდაცა ჭკვიანმა ჭიშკართან მიგროვილ ბალღებს ხელი მოხვია და ღობის ძირას მიხვეტა.

გზა უტიეს სიხარულით გადარეულ სტუმარს.

მხედარმა ძაგაგამონსაკული— შავი ულაყი პირდაპირ მ.ქორწილეთა ეზომ. შეაგდო. იქ ერთხელ კიდევ შეახტა ცხენი და მერე კიბისკენ მისცა გეზი. ეტყობოდა, ცხენმა იცოდა პატრონს ხასიათი, არც შეეჯ.ყმანებელა, აიც ფეხი არეკვია, ისე აყვა ხის კიბეს. კიდევ კარგი საფეხურები ღაყანთრეული არ იყო, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

ეზოში ნუ მოშლილიყოს ჭოლიკიშვილების ბედნიერება, ღსინა და ქორწილი, გათხოვება და დაქორწილება, ნეფე-პატარძალს გაუმარჯოოოს!

— გაუმარჯოოოს! — ახლაც დაიჯუნეს ფშავლებმა.

მხედარი დაიხარა, ცხენს გაჭაფულ კისერზე ხელი მოხვია და ჯამი პირთან მიუტანა. ულაყმა ერთი კი დაიფრუტუნა, ჭიპიტაურით საუსე ჯამს დაეწაფა და ერთ ყაში ამოწრუტა.

— გაამოს!

ალტაცებაში მოსულმა დამკვრელებმა ტუში დასცხეს.

გაკვირვა ხალხი — ცხენიც თავისი საფერი ყოლიაო.

მხედარმა ჯამი მასპინძელს დაუბრუნა, ცხენი მიატრიალა და როგორც ამოვიდა, ისე ჩავიდა ეზოში. დაქვეითა, ლაგამი წინ მიგებებულ ყმაწვილს გადასცა და ნეფე-დედოფლისაკენ გეიმართა. ლეკოსთან გადაეხვია, გადაკოცნა, პატარძალს თავი დაუკრა. მერე დამკვრელებს დაუძახა — ჩვენური მაღირსეთო.

დაკვრეს.

სუფრის წინ მწვანეზე გადახტა და აზიურების წვერებით ბდღვირი ადინა მწვანე მოლს. მუხლები მოიღალა, კული მოიოხა, მერე მიეიდა და ჯაის მაყრების შუაში ჩაჯდა.

ის ერთი ომალოფილი ქისტი ვაკაცი იყო და ფშავლებსა მთელი ქორწილი. სიმღერითაც და ცეკვით იკლებდა ოქაურობას, თან დროდადრო იძახდა:

— ჰეიიი, ფშავლებო! აიტანეთ ერთი გადარეული ქისტის სითამამე, ამბობილის ქორწილში ვარ, ჭკვიანად რა გამაჩერებს!

გული ერჩოდა, სიბარულით ყელამდე იყო სავსე და სიმღერით ცდილობდა გულის მოოხებაა, ფშავლები ხასიათსაც უწყობდენ და ხმასაც, ხელი ხელგადაჯვეულები მღეროდნენ:

ძმობილს ენაცვლოს ძმობილი,
რომ გამომიშვა შინაო.
მე აქ ქორწილში ვქეიფობ,
ამას თეოზე სძინაო.

იმ ერთი კაცის მოჭარბებული სითამამე ქორწილს მბოლოდ სიღამაზეს მატებდა. კაცს, ქრისტიანს, მისთვის შეკრული შუბლი არ უჩვენებია. ყეულა თეფში და ჭიქა კედლისთვის რომ მიეფშვნა, ფშავლები მანც კუნტ-ბუდნენ, ქორწილს ასე უხდებაო, მაგრამ ქისტს იმ სითამამეში ზომიერების გრძნობა არ დალატობდა.

ის ერთი ქისტი იყო და ფშავლებისა მთელი ქორწილი. ზედმეტად მანც არავის მოსჩვენებია, მაშინაც კი, როცა ფშავლები ანწლის ჭიპიტაურით კარგა გვარიანად შეეიავდნენ.

— ეცეკვება და იცეკვოს!

— ემღერება და იმღეროს!

— ქორწილი სიხარულისაა!

ქისტის ბიჭის სადღეგრძელო ყველამ დიდი სიყვარულით დალია, ვინც იცნობდა და არ იცნობდა, ყველამ უსურვა დიდხანს შერჩენოდა მუხლებში ძალა, თვალებში — სინათლე, გულში — ჯიხარული.

შებინდების ჟამს სანაწერები მოთავდა.

ქისტმა ერთხელ კიდევ იცეკვა ჩეჩნურად.

ერთხელ კიდევ დალოცა ძმობილი. იორკა მომგვარეთო, მოითხოვა.

მოკვარეს დასვენებული და ნაბალახარი.

ქალისა და ვაჟის მაყრებს დამშვიდობა, თავის იორღას ვაეკაცურად მოახტა, ისევ გამოავლეინა ცხენს ეაპიტაურით საუსე ჯამი, მერე ის ჯამი ისევ გაავსებინა. წასვლა-დარჩენისა დაილოცა, ახლა თვითონ გამოეცალა. წელში გაჩრილი მთარახის თასმაში ხელი გაუყარა, ცხენს გამეტებით შუშა და შუშხა. გააფიცხა, გადარია, ხერე სადავე მიუშვა და ბინდდაკრულ ორლობეში მოჩვენებასავით დაეკარგა.

ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲠᲘ. იქნებ ეს ამბავი არც გამხსენებოდა და არც დამეწერა, ხელთ რომ არ ჩამევარდნოდა სიძველით გაცრეცილი და გაუვითლებული გაზეთი „ამირანი“ (№ 98, 1908 წ.), სადაც დიდი ვოჟა წერს: „**ᲛᲬᲥᲣᲛᲡᲔᲑᲘ ᲫᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲘᲗ ᲕᲔᲓᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲚ ᲛᲗᲐᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ...** ᲐᲛ ᲒᲝᲒᲝᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲠᲘ ᲓᲐᲚᲘᲪᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲤᲨᲐᲕᲗᲔᲡᲘ. ᲫᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘ, ᲑᲐᲠᲘᲛᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲘᲚᲘᲐ, ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲩᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ!

გული ერჩოდა, სიბარულით ყელამდე იყო სავსე და სიმღერით ცდილობდა გულის მოოხებაა, ფშავლები ხასიათსაც უწყობდენ და ხმასაც, ხელი ხელგადაჯვეულები მღეროდნენ:

ᲫᲛᲝᲑᲘᲚᲡ ᲔᲜᲐᲪᲕᲚᲝᲡ ᲫᲛᲝᲑᲘᲚᲘ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲨᲕᲐ ᲨᲘᲜᲐᲝ.
ᲛᲔ ᲐᲥ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ ᲕᲥᲔᲘᲤᲝᲑ,
ᲐᲛᲐᲡ ᲗᲔᲝᲖᲔ ᲡᲫᲘᲜᲐᲝ.

ᲘᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲐᲛᲘᲗ

ᲛᲐᲛᲔ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲝᲛᲐᲛᲬᲘᲡᲘᲗ ᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ. ᲙᲐᲪᲘ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲘᲡᲢᲡ ᲘᲛ ᲡᲘᲗᲐᲛᲘᲗ ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲚᲐᲢᲝᲑდᲐ.

ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲘᲡᲢᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲤᲨᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ მთელი ქორწილი. ᲖᲐᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲜᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲩᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲕᲔᲘᲤᲝᲑᲣᲚᲘᲡ.

ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲘᲡᲢᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲤᲨᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ მთელი ქორწილი. ᲖᲐᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲜᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲩᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲕᲔᲘᲤᲝᲑᲣᲚᲘᲡ.

გაუმარჯოს შრომას!

რეპორტაჟი ყულარიდან

ᲔᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარეების ხრამისა და დიბიდას შუა ვრცელ ფაერთობზე გადაჭიმული ვენახები თვალს მოსტაცებს კაცს. ვენახებს ირგვლივ აღვის ხეების მწკრივები ჯავშნად არტყია, რომ მავნე ქარებისაგან დაიცვას ზვრები. ეს ვენახები, მინდვრები, ბაღ-ბოსტნები ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის. მეურნეობა საბჭოთა საქართველოს თითქმის თანატოლია — 1922 წელს მანთაშოვის ყოფილ მამულში ჩამოუყალიბებიათ. მაშინ მეურნეობის მთელი ფართობი 146 ჰექტარი იყო. ვენახი კი მანთაშოვს მხოლოდ ხუთიოდე ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული.

გლეხობამ მემამულის უღელი მოიცილა, თავისუფლად ამოსუნთქა და მერე მიწას გულდაგულ შეერკინა. ეკალ-ბარდები ამოძირკვეს, გაასუფთავეს და ვენახები გააშენეს. ყოველ წელიწადს მატულობს ზვრების ფართობი. ახლა მეურნეობის ვენახებს 462 ჰექტარი უჭირავს.

ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გიორგი ქათამაძე, რომელიც ხუთი წელია ამ მეურნეობას უდგას სათავეში, გვეუბნება: ჩვენმა მევენახეებმა მიმდინარე ხუთწლედში დიდ წარმატებას მიაღწიეს. ნაცვლად 11.544 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 15.461 ტონა ყურძენი. გარდა ამისა, დიდი გადამეტებით შესრულდა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმები. ამასთან ყოველწლიურად მცირდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, რაც საშუალებას გვაძლევს რენტაბელური იყოს ყოველი დარგი და დიდძალი მოგება მივაცეთ სახელმწიფოს.

უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ლაპარაკობენ თვით ციფრები. ხუთწლედის პირველ წელს 441.881 მანეთის ნაცვლად მეურნეობამ 918.216 მანეთი მოგება მიიღო, მომდევნო წელს ნაცვლად 445 ათასი მანეთისა — 675.510 მანეთი, შემდეგ წელს ნაცვლად 502.882 მანეთისა — 685.104 მანეთი, შარშან ნაცვლად 707.194 მანეთისა—724.597 მანეთი, ხოლო წელს ნაცვლად 733.118 მანეთისა 800 ათასი მანეთი. მთლიანად ხუთწლედში მოგება უნდა ჰქონოდათ 2.890.025 მანეთი, ფაქტიურად მიიღეს 3.785.427 მანეთი.

ეს საამაყო მაჩვენებელია. ამ მეურნეობამ ექვსჯერ მიიღო მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ექვსივეჯერ დიპლომი დაიმსახურა.

მეურნეობის დირექტორის კაბინეტის ერთ კუთხეში დამაგრებულია ალისფერი დროშა, რომელსაც აქვს წარწერა „**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა საბჭოთა კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტურ შრომაში გამარჯვებისათვის**“. ეს დროშა მრავალგზის მოიპოვეს ყულარელებმა და ახლა სამუდამოდ მათთან ინახება.

სამამულო ომის დროს ინსტიტუტიდან ფრონტზე წავიდა ამ მეურნეობის ახლანდელი დირექტორი გიორგი ქათამაძე. იქ თოქმის ოთხ წელიწადს დაჰყო და ბევრი ორდენი და მედალიც დაიმსახურა. ომიდან დაბრუნდა თუ არა, კვლავ სწავლა განაგრძო. როცა ინსტიტუტი დაამთავრა, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად დანიშნეს. 1950 წლიდან კი ჯერ ალგეთის, შემდეგ ყულარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. 1960 წელს მარნეულის საბჭოთა მეურნეობას ხელმძღვანელობდა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ისევ ყულარის მეურნეობას დაუბრუნდა. მეურნეობებში მუშაობის ოცი წლის მანძილზე საბრძოლო ორდენებსა და მედლებს ბევრი შრომითი ორდენი, მედალი და სიგელიც მიუმატა. ამრიგად იგი შრომამიე პირველ რიგებშია.

—მარტო ვერაფერს გავაწყობდი, გვერდით რომ არ მყოლოდნენ გამოცდილი, შრომისმოყვარე ადამიანები, — ამბობს გიორგი, — პირველ რიგში უნდა აღვნიშნო თვით მეურნეობის ადამიანები, ესინი, ვინც თავიანთი მარჯვენით ქმნიან სახალხო დოვლათს. ესენი არიან მკლავმოღლილი მევენახეები, მემანდვრეები, მებოსტნეები, მეცხოველეები. საუკეთესო მევენახეები არიან მარია სემონოვა, ვალია მირზოევა, ოლია ფილატოვა, კალამბარ ახმედოვა, მექანიზატორები შალვა ავეტისიანი, მილაზუმ ვერდიევი, ვასილ ფილატოვი, სამსონ გევორქიანი. აქვე უნდა დავასახელოთ მეურნეობის სპეციალისტები — მთავარი აგრონომი გ. მინდიაშვილი, მთავარი მექანიზატორი ა. კვირკველია, განყოფილების გამგეები გ. ჭუსეინოვი, გ. კეკელაშვილი, ნ. ჩაკვეტაძე, შ. მახარაშვილი, ბრიგადირები ქ. შუბითიძე, ა. კოპაიგორა, ნ. გეიდაროვი.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲨᲣᲑᲘᲗᲘᲫᲘᲡ ბრიგადას 27 ჰექტარი ვენახი აქვს. წელს ჰექტარზე 70 ცენტნერის ნაცვლად 122 ცენტნერი ყურძენი მიიღო და ნაცვლად 190 ტონისა 333 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს. ხუთფალი ვეიდაროვის ბრიგადას 49 ჰექტარი ვენახი აქვს. ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 98 ცენტნერი მიიღეს და 373 ტონის ნაცვლად 487 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს. მთლიანად მეურნეობამ კი 2.900 ტონის ნაცვლად 3.860 ტონა ყურძენი მიიტანა სახელმწიფო მარანში.

რადენიმე სიტყვა პროდუქტების თვითღირებულებაზე: ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება ყოველ წელიწადს მცირდება. წელს ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება ნაცვლად 24 მანეთისა და 40 კაპიკისა 17 მანეთი და 33 კაპიკია. ასევე მცირდება მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. წელს 733.118 მანეთი მოგება უნდა მიეღო მეურნეობას. პროდუქტების წარმოების გაიაფებით 800 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

ეს ჩვენი საბჭოთა საქართველოს ნახევარსუკუნოვანი იუბილესათვის ყულარელთა კარგი ნობათია.

— ახალ ხუთწლედში, — ამბობს დირექტორი, — მეურნეობის ვენახების ფართობი 600 ჰექტარით გაიზრდება. გარდა ამისა ძველ ვენახებს გავაახლებთ, ვიბრძოლებთ სიმეჩხრის წინააღმდეგ და იმედი გვაქვს ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერი ყურძენი მივიღოთ.

ᲐᲮᲚᲐ ზამთრის პირველ დღეებია, მეურნეობის მექანიზატორები, მევენახეები ისევ ზვრებში არიან, როგორც მორწეს ხნავენ, ვაზის სხვლისათვის ემზადებიან, საფუძველს უყრიან ახალი ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს.

Ვ. ᲖᲝᲜᲐᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ქათამაძე, მთავარი აგრონომი გ. მინდიაშვილი, მთავარი მექანიზატორი ა. კვირკველია ამოწმებენ ვენახში მიწის რიგოსაშორის ხვნის ხარისხს.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ᲝᲛᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲨᲘᲪ

სიცოცხლის ტრფიალი

Ეს ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ფრონტზე ხდება, სადაც ბრძოლის ბრიდი წყდება. სიკვდილ-სიცოცხლის ჩიდილია...

ყირიმში 1944 წლის მარტი დგას. მარტიც ჭირვეულობს და ფაშისტებიც ჭირვეულობენ...

ქართული დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მეთაურის ქრისტეფორე გაფრინდაშვილის მებრძოლები პირდაპირი დამიზნებით ურტყამენ მტერს. ჰიტლერელთა გენერალებში არევ-დარევაა.

ომის ღმერთი — არტილერია თავის საქმეს აკეთებს. ლეგიონის ქქმი ანდრო მაჭავარიანი მეტწილად საცეცხლე ხაზზეა. ახლაც ასეა. ანდროს შემოესმა ყვირილი:

— ლეგიონის მეთაური დაიჭრა! — ეს შტაბის უფროსის პოლკოვნიკ შ. ნანეტაშვილის ხმა იყო.

მტრის ცეცხლი ძლიერდება. ქქმი ანდრო მაჭავარიანი თხრილებში მიეჭრება. აი მიაღწია სანგარს, სადაც დაჭრილი ლეგიონის მეთაური შეეფარებინათ ქართველ ოფიცრებს: ლომიძეს, ბაქრაძეს, ყიფშიძეს.

ანდრო სწრაფად მოქმედებს — დაიწყო ჭრილობის დამუშავება. ამოალგა ჭრილობიდან ნაღმის დიდი ნამსხვრევები. ჭრილობა შეუხვია დაჭრილს, რომელიც საკაცით ხოხვით ჩაიყვანა ზღვისპირას...

ქქმს მისწვდა ფრონტის ახლადდანიშნული სარდლის ერიომენკოს ბრძანების ხმა:

— მომახსენეთ ლეგიონის მეთაურის გაფრინდაშვილის მდგომარეობა. როგორი ჭრილობა აქვს?

— ჭრილობები ფრიად სერიოზულია. გაფრინდაშვილს ესეჭიროება ევაკუაცია ღრმა ზურგში, — იყო ქქმის პასუხი.

საარტილერიო კორპუსის, მეთაურის გენერალ გლაზუნოვის მეთითებით გაფრინდაშვილი ევაკუირებულ იქნა სოჭში. იგი გაიცილეს ფერშალმა და სანიტარმა, — თქვენ კიდევ იომებთ, — უთხრა ანდრო მაჭავარიანმა გაფრინდაშვილს გამომშვიდობებისას და დაჭრილ მებრძოლთა მოსავლელად გაიშართა.

სამეიდე დღის შემდეგ საბჭოთა მეომრებმა შეიჭრეს სევასტოპოლს, რომელიც ფაშისტების ხელში ყმინავდა.

სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა საპონერაზზე და ხერსონესის კონნოლზე. კეთილმა სძლია ბოროტს...

სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ბევრი ჩვენი მეომარი დაიჭრა; სასწრაფო საექიმო დახმარებით, რასაც ექიმი ანდრო მაჭავარიანი და მისი ხელქვეითნი აბორეკილებდნენ, მებრძოლთა უმრავლესობა მწყობრში ჩადგა, იომა, გაიმარჯვა.

ახლოს ანდრო მაჭავარიანს ფაშისტებისაგან ყირიმის საბოლოოდ განთავისუფლების ზეიმის დღე, როცა ჩვენი მებრძოლები მას ხელში აყვანილს მაღლა ასროდნენ, ულოცავდნენ, მადლობას უხდიდნენ.

1941 წლის აგვისტოდან იგი ექიმია მეოთხე საპაერო არმიის ავიანაწილში. მიმდინარეობს ბრძოლები ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. ყუბანის განთავისუფლების შემდეგ ყირიმის ფრონტი. მზადდება საზღვაო-სადესანტო ბრიგადა ქერჩში მტრის ზურგში გადასასხმელად. სადესანტო ბრიგადის მეთაურია ალექსეენკო. ანდრო ამ ბრიგადის უფროსი ექიმია. ფრონტელი ექიმის ცხოვრების ყოველი დღე ალსავსეა შეუპოვარი შრომით სიცოცხლის გადასარჩენად, მწყობრში მეომრების დასაბრუნებლად. იყო ეპიზოდი ქვეშ სახელდახელო მარჯვე ოპერაციები, ამიდები, წარმატებები.

აი დესანტის გადასხმა ქერჩში ჰაერიდან ზღვიდან და ჩვენი არტილერიის პლაცდარმისათვის ექვსი მნიშვნელოვანი პუნქტის განთავისუფლება. ექიმი ანდრო მაჭავარიანი და მისი ბრიგადა ბრძოლებში დაჭრილთა მოვლა-პატრონობისათვის.

იმ ქარცეცხლში, ნაბრის ცხარე ბრძოლების ერთ ასეთ მარა სემონოვა, ვალია მირზოევა, ოლია ფილატოვა, კალამბარ ახმედოვა, მექანიზატორები შალვა ავეტისიანი, მილაზუმ ვერდიევი, ვასილ ფილატოვი, სამსონ გევორქიანი. აქვე უნდა დავასახელოთ მეურნეობის სპეციალისტები — მთავარი აგრონომი გ. მინდიაშვილი, მთავარი მექანიზატორი ა. კვირკველია, განყოფილების გამგეები გ. ჭუსეინოვი, გ. კეკელაშვილი, ნ. ჩაკვეტაძე, შ. მახარაშვილი, ბრიგადირები ქ. შუბითიძე, ა. კოპაიგორა, ნ. გეიდაროვი.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲨᲣᲑᲘᲗᲘᲫᲘᲡ ბრიგადას 27 ჰექტარი ვენახი აქვს. წელს ჰექტარზე 70 ცენტნერის ნაცვლად 122 ცენტნერი ყურძენი მიიღო და ნაცვლად 190 ტონისა 333 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს. ხუთფალი ვეიდაროვის ბრიგადას 49 ჰექტარი ვენახი აქვს. ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 98 ცენტნერი მიიღეს და 373 ტონის ნაცვლად 487 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს. მთლიანად მეურნეობამ კი 2.900 ტონის ნაცვლად 3.860 ტონა ყურძენი მიიტანა სახელმწიფო მარანში.

რადენიმე სიტყვა პროდუქტების თვითღირებულებაზე: ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება ყოველ წელიწადს მცირდება. წელს ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება ნაცვლად 24 მანეთისა და 40 კაპიკისა 17 მანეთი და 33 კაპიკია. ასევე მცირდება მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. წელს 733.118 მანეთი მოგება უნდა მიეღო მეურნეობას. პროდუქტების წარმოების გაიაფებით 800 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

ეს ჩვენი საბჭოთა საქართველოს ნახევარსუკუნოვანი იუბილესათვის ყულარელთა კარგი ნობათია.

— ახალ ხუთწლედში, — ამბობს დირექტორი, — მეურნეობის ვენახების ფართობი 600 ჰექტარით გაიზრდება. გარდა ამისა ძველ ვენახებს გავაახლებთ, ვიბრძოლებთ სიმეჩხრის წინააღმდეგ და იმედი გვაქვს ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერი ყურძენი მივიღოთ.

ᲐᲮᲚᲐ ზამთრის პირველ დღეებია, მეურნეობის მექანიზატორები, მევენახეები ისევ ზვრებში არიან, როგორც მორწეს ხნავენ, ვაზის სხვლისათვის ემზადებიან, საფუძველს უყრიან ახალი ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს.

Ვ. ᲖᲝᲜᲐᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: სამედიცინო სამსახურის თადარიგის მაიორი ანდრო მაჭავარიანი.



სიცოცხლის ტრფიალი

ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ

სიმაღლე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲔᲯᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲔᲜᲒᲣᲠᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

I. ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ღამეა.
დახრილ სახურავებს
მთვარეში სძინავთ,
მატარებლები ტოვებენ ქალაქს...
— მე ეს სადგური
მახარია ისე, ვით წინათ,
და გამგზავრების აღტაცებას
ბავშვივით ვმალავ...

მე მაგიდაზე
ანთებული დამრჩა ნათურა
და ფრინველივით მოფრთხიალე
ცოცხალი ლექსი...
— უნდა გავტეხო ჩემს
ტოლებთან
პური ქართულად
ენგურჰესისკენ ავიღე გეზი!..

წკრიალებს მთვარე
მოლაპლაპე ლიანდაგებზე,
დგას შუქნიშანი
და ყველაფერს ზუსტად
განაგებს...

— გამთენიისას
ყაჩაღივით უნდა დავეცე
ჩემს ძველ მეგობრებს
და ამხანაგებს!..

მე ვტოვებ თბილისს,
მოსასხლეტად შედგა ისარი,
ხწორედ ის არი
აღსრულება ჩემი პირობის,
რომ ვიყო ნაღდი მგალობელი
და გულთმისანი
ბაშვილიშვილო,
ჭეშმარიტად ნამდვილ
გმირობის!..

მიარღვევს ღამეს დასავლეთით
მატარებელი,
გამორჩდა ჯვარი,
როგორც ცაში მცურავი გემი...
— მამულის გრძნობის
პატიოსნად მატარებელი
სხვა სვეტიცხოველს
წამომართავს
თაობა ჩემი!..

მიარღვევს ღამეს დასავლეთით
ვეება ეშვი —
ელმავლის შუქი, გასროლილი
და შეკავლება...
და შემოდგომის ღამე მაწვდის
ვარსკვლავებს პეშვით
სექტემბრის მბეუტავ
განწყობილებად...

...ბევრი მხარდამხარ შედიოდა
მოვარდნილ წყალში,
ბევრმა ცხოვრება
არხეინი ტივით გაცურა,
მაგრამ ეს არი
მთავარი მაინც,
— ვალი კაცობის
მოიხადო წმინდად, კაცურად!

არა სტრიქონი
მიგდებული უმიზნოდ ლარზე
და სადღეგრძელო,
საკეკლუცოდ ჭიქას დართული,
— არამედ ხაქმე,
სადღეისო ტკივილით სავსე,
აი რა არის ეროვნული,
მართლა ქართულია!...

ამიტომ ასე მენატრება
ლურჯი ჩქერალი
ენგურის ტალღის
და სიმაღლე დაღადრულ
მთებიან...
— და ჩვენი დროის
სიმართლესთან
პირისპირ ვდგები,
მისი ალალი მონაწილე
და მომღერალი!...

ეხლება ხახეს
ანალული ყანების ხუნი,
მატარებელი
დასავლეთით მისდევს
ლიანდაგს...
ჯერ არ დაძრულა
ციხეკიდურზე მომდგარი
ერუნი —

ალიონს
რალაც უცნაურად დაეგვიანდა!..

მე ხული მისწრებს
და ვიგონებ იმ შემოდგომას,
პირველ გაცნობას,
ლალუმების კლდეებში გრიალს,
ხურმის ხეებით განათებულ
უ

„კომუნისტის“ ინტერვიუ

დღესტნის სალამი

რასულ გამზატოვი — თბილისი

ძართველ ხალხს, ქართულ კულტურას მრავალი გულითადი მეგობარი და დამფასებელი ყავს. ერთი მათგანია მრავალეროვნულ საბჭოთა მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენელი რასულ გამზატოვი — დაღესტნის, სახალხო პოეტი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი ხშირად ჩამოდის საქართველოში, თავის ქართველ კოლეგებთან. ამჯერად ორიოდე დღით გვესტუმრა. „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა სახელოვან პოეტს და გაზეთისათვის ინტერვიუ სთხოვა.



— რა ვქნა, — თქვა რასულ გამზატოვმა, — ინტერვიუ და ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლა მაინც და მაინც არ მიყვარს, თუმცა ხშირად კი ვარ ამ დღეში: მე მგონია მწერლისათვის ყველაზე საკეთილო ტრიბუნა მისი წიგნია... გთხოვთ ამჯერად მერწმუნოთ: ძალიან მსიამოვნებს, რომ შემიძლია „კომუნისტის“ საშუალებით ქართველ ხალხს გავესაუბრო...

საქართველოში ყოველთვის სიხარულით მოვდივარ. ამჯერად ჩემი თქვენთან სტუმრობის მიზეზია ჩემი ძმა ჰაჯი გამზატოვი — დაღესტნის ასსრ კულტურის მინისტრი. იგი ფილოლოგია და გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „დაღესტნის სახალხო პოეტის გამზატ ცადასას ცხოვრება და შემოქმედება“... ამ ფაქტით ჩვენ, მეც და ჩემი ძმაც დიდად გახარებული ვართ... გამზატ ცადასა, როგორც მოგეხსენებათ, მამაჩვენია.

როცა ვწერდი წიგნს „ჩემი დაღესტანი“, მომიხდა მუშაობა საქართველოს მუზეუმებში და არქივებში. ძალიან მესიამოვნა, როცა შევიტყე, რომ აქ დაცულია დიდძალი ისტორიული მასალა ჩემი მშობლიური ხალხის შესახებ... უკვე დავამთავრე „ჩემი დაღესტანის“ მეორე ნაწილი, ვმუშაობ მესამე წიგნზე. პირველ წიგნს ქართველი მკითხველი გაეცნო ალმანახ „ციასარტკელას“ ფურცლებზე. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო მთარგმნელებს თამარ ჩიჯავაძეს და პოეტ მოთა ნიმნიანიძეს, აგრეთვე ალმანახის მთავარ რედაქტორს, ჩემს ძველ მეგობარს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს...

დავწერე ახალი ლექსების კრებული. იგი იბეჭდება მოსკოვში. აგარულ ენაზე გამოდის ჩემი ნაწერების ხუთტომეული... ბევრს ვმოგზაურობ, ვფიქრობ, ვმუშაობ, ვოცნებობ, ვწერ ლექსებს, — ეს არის და ეს, ასეთია ჩემი ცხოვრება...

მინდა მივეხსენო მთელ ქართველ ხალხს, საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რომლებიც მალე იზეიმებენ თავიანთი რესპუბლიკისა და კომპარტიის 50 წლისთავს.

— რას ვუსურვებ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს? — კორესპონდენტი ამ კითხვაზე რასულ გამზატოვმა იღო ფურცელი და ავარულ ენაზე დაწერა:

„კომუნისტის“ მკითხველებს ვუსურვებ იმდენ სიხარულს, რამდენი თქვენი გაზეთის ტირაჟია, იმდენი წლის დღეგრძელობას, რამდენი დღისაც ეს გაზეთია, იმდენ გულითად მეგობარს, რამდენ ადამიანსაც ყოველდღიურად ხვდება გაზეთი.

რასულ გამზატოვი;
4 დეკემბერი, 1970 წ.“

* * *



Комунистин — гамыр шалуллар шиб дица чарилгъ. Ихъ гъэстаммаг лагъуфилимиллаг рокеллы, гъеле къуллал ва ахъ бутлал хъуг. Ихъуфилги шалъ ккиллъ чилги чаги ъэгъэлъ дал чъвай!..

Расул Гамзатов

4 декабрь 1970 г.

СУРАТЩЕ: რასულ გამზატოვი თბილისში, სახტუმრო „ივერიის“ აივანზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რასულ გამზატოვი

ეე ჟენზე ვფიქრობ

მე შენზე ვფიქრობ.
დღეა, ღამეა —
მე შენზე ვფიქრობ.
კარგი დარია —
მე შენზე ვფიქრობ.
ქარიშხალია —
მე შენზე ვფიქრობ!
თოვლი რა არი —
მე შენზე ვფიქრობ.
რაა ზამთარი —
მე შენზე ვფიქრობ.
არარად ვაგდებ
ბებერ ავდარს,
ნისლოვან ფრთებით
სანთელს რომ
მიქრობს...
ალბათ ძალიან
კარგი ხარ, რადგან
რაც თავი მახსოვს, —
მე შენზე ვფიქრობ!

თარგმანი

მ. ფოცხიშვილისა.

სპორტი

მეთვრამეტე ტური

მოპაჰარაკეთა საზონათაშორისო ტურნირის მეთვრამეტე ტურში კვლავ შეუერთდა ლიდერთა ჯგუფს პოლუგაევსკი. მან 30-ე სვლაზე დაამარცხა პანო.

ფიშერმა მოუგო ულმანს, მეკინგმა-ნარანიამ. ყაიმით დამთავრდა გელერ-გლიგორიჩის, მინიჩ-სმისლოვის, ივკოვ-ადიანონის, უიტკუმენ-ჰორტის, რუბინეტი-ფილიპის შეხვედრები.

აი, როგორი მდგომარეობა აქვს ახლა ლიდერთა ჯგუფს სატურნირო ცხრილში:

ფიშერს აქვს 12 ქულა და თითო გადადებული და გამოტოვებული პარტია, გელერს —11 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გლიგორიჩსა და ულმანს — 10,5 ქულა თვითეულს და თითო გადადებული პარტია, პოლუგაევსკის — 10,5 ქულა, ტაიმანოვსა და მეკინგს — 10-10 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, ლარსენსა და პიუბერს 9,5 ქულა თვითეულს და ორ-ორი გადადებული პარტია, პანოს — 9,5 ქულა.

გადადებული პარტიების დამთავრება, რაც გუშინ შედგა, გარკვეულ სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში. მაგრამ უკვე ახლავე ჩანს, რომ საბჭოთა გროსმაისტერებიდან გელერს აქვს ყველა შანსი შევიდეს სანუკვარ ექვსეულში. იგი უნდა შეხვდეს ივკოვს, მინიჩს, პანოს, რეშევსკისა და მატულოვიჩს. შანსს ინარჩუნებს ტაიმანოვიც, მაგრამ მან ამისათვის ორ დაუმთავრებელ პარტიაში აუცილებლად უნდა მოაგროვოს სულ ცოტა ერთი ქულა, ხოლო შემდეგ წარმატება მოიპოვოს ფიშერთან, ფილიპთან, ჰორტთან, რეშევსკისა და მატულოვიჩთან ორთაბრძოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, პოლუგაევსკის წინაშე დასახულია ძნელი, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, განსახორციელებელი ამოცანა — მოაგროვოს 3,5 ქულა 5 შესაძლებელში, რათა მიუახლოვდეს „გასასვლელ ქულათა მიჯნას“. „ფინეშის სწორზე“ მისი მეტოქეები იქნებიან მინიჩი, ხიმენესი, რეშევსკი, მატულოვიჩი და ნარანია. მოწინავე ჯგუფს საგრძნობლად ჩამორჩა სმისლოვი, რომელსაც აქვს 8,5 ქულა და ორი გადადებული პარტია. (საკდესი).



დღეს ოქროს მატჩია

ოქროს შედლების ბედი დიდ ფეხბურთში დღეს გადაწყდება ტაშკენტში. ისევე, როგორც 1964 წელს, გადამწყვეტი ბრძოლის არენად არჩეულია „პახტაკორის“ სტადიონი.

ცსკა თუ მოსკოვის „დინამო“? აი რა აინტერესებთ ფეხბურთის მოყვარულებს. რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია, რადგან მეტოქეები დაახლოებით თანაბარი პოტენციალის გუნდებია. ერთი რამ ცხადია: ბრძოლა შეუპოვარი იქნება.

მაშ ასე, დღეს 14 საათზე თქვენს ტელევიზორებთან!

ქალთა ჩემპიონატი

მოლდავეთის ქალაქ ბელცში უნდა გამოვლინდეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის. უკვე გათამაშდა 9 ტური.

მეცხრე ტურში საინტერესოდ წარიმართა მ. რანიკუსა და ნ. კონოპლიოვას პარტია. საერთაშორისო ოსტატმა მ. რანიკუმ გაბედულად შესწირა მეტოქეს ეტლი და გამარჯვება მოიპოვა.

ა. კუშნირმა მოუგო ლ. სტარჩენკოს, მ. სანაძემ — ს. როოტარეს, ტ. ლუმაჩკომ — ვ. უშაკოვას, ც. კახაბრიშვილმა — ტ. მოროზოვას.

ქალათბურთი

მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ქალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. თამაშობდნენ კიევის „სტრო�აელისა“ და დედაქალაქის „დინამოს“ გუნდები. წარმატება დინამოელებს ხვდათ ანგარიშით 82:63. მატჩი ლენინგრადში ადგილობრივი „სპარტაკისა“ და კიევის სკა-ს გუნდებს შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 68:55.

საღამო მტკვარზე

ფოტო ს. ბილაძისა.

მეთვრამეტე ტური

მოპაჰარაკეთა საზონათაშორისო ტურნირის მეთვრამეტე ტურში კვლავ შეუერთდა ლიდერთა ჯგუფს პოლუგაევსკი. მან 30-ე სვლაზე დაამარცხა პანო.

ფიშერმა მოუგო ულმანს, მეკინგმა-ნარანიამ. ყაიმით დამთავრდა გელერ-გლიგორიჩის, მინიჩ-სმისლოვის, ივკოვ-ადიანონის, უიტკუმენ-ჰორტის, რუბინეტი-ფილიპის შეხვედრები.

აი, როგორი მდგომარეობა აქვს ახლა ლიდერთა ჯგუფს სატურნირო ცხრილში:

ფიშერს აქვს 12 ქულა და თითო გადადებული და გამოტოვებული პარტია, გელერს —11 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გლიგორიჩსა და ულმანს — 10,5 ქულა თვითეულს და თითო გადადებული პარტია, პოლუგაევსკის — 10,5 ქულა, ტაიმანოვსა და მეკინგს — 10-10 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, ლარსენსა და პიუბერს 9,5 ქულა თვითეულს და ორ-ორი გადადებული პარტია, პანოს — 9,5 ქულა.

გადადებული პარტიების დამთავრება, რაც გუშინ შედგა, გარკვეულ სიცხადეს შეიტანს სატურნირო ცხრილში. მაგრამ უკვე ახლავე ჩანს, რომ საბჭოთა გროსმაისტერებიდან გელერს აქვს ყველა შანსი შევიდეს სანუკვარ ექვსეულში. იგი უნდა შეხვდეს ივკოვს, მინიჩს, პანოს, რეშევსკისა და მატულოვიჩს. შანსს ინარჩუნებს ტაიმანოვიც, მაგრამ მან ამისათვის ორ დაუმთავრებელ პარტიაში აუცილებლად უნდა მოაგროვოს სულ ცოტა ერთი ქულა, ხოლო შემდეგ წარმატება მოიპოვოს ფიშერთან, ფილიპთან, ჰორტთან, რეშევსკისა და მატულოვიჩთან ორთაბრძოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, პოლუგაევსკის წინაშე დასახულია ძნელი, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, განსახორციელებელი ამოცანა — მოაგროვოს 3,5 ქულა 5 შესაძლებელში, რათა მიუახლოვდეს „გასასვლელ ქულათა მიჯნას“. „ფინეშის სწორზე“ მისი მეტოქეები იქნებიან მინიჩი, ხიმენესი, რეშევსკი, მატულოვიჩი და ნარანია. მოწინავე ჯგუფს საგრძნობლად ჩამორჩა სმისლოვი, რომელსაც აქვს 8,5 ქულა და ორი გადადებული პარტია. (საკდესი).

რინგზე ლექსით...

ნიუ-იორკის უდიდესი სპორტული დარბაზის „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე 7 დეკემბერს კვლავ გამოვა მოპამედ ალი. ოქტომბერში მან ატლანტაში დაამარცხა თანამემამული ჯერი კეორი. ახლა ალის მეტოქე იქნება არგენტინელი ოსკარ ბონავენა.

...ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მოპამედ ალიმ, მსოფლიოს ბოქსიორტუმრა ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის, მთელი ქვეყანა მოიარა, რათა ღირსეული მეტოქე ეპოვნა. მაგრამ სამი წლის მანძილზე, როცა იგი სპორტს ჩამოაცილეს ვიეტ-პოლიტიკოსებმა, გამოჩნდა პროფესიონალ მოკრივეთა ახალი თაობა. მათ წყურიათ ლეგენდარულ ჩემპიონთან ბრძოლა. ყოველ მათგანს ესმის, რომ ისტორიაში შევა როგორც პირველი კაცი, რომელმაც შეწყვიტა მოპამედ ალის ძლევამოსილი მსვლელობა.

ალისა და ბონავენას შეხვედრის წინ მიმდინარეობს თავისებური ფსიქოლოგიური დუელი. პროფესიული რინგის დაუწერელი კანონების თანახმად ორივე მოკრივე წამდაუწუმ აცხადებს, უსათუოდ გავიმარჯვებ და მოწინააღმდეგეს შავ დღეს დავაყრიო.

უჩვეულო სარეკლამო ხერხს მიმართა არგენტინელის „გუნდმა“. ერთ-ერთი მისი სპარინგ-პარტნიორი — რაულ გორროსიტო ჰოსპიტალში წაიყვანეს. ბონავენას მეჯერმა განაცხადა, რომ მისმა მოწაფემ გორროსიტო მწყობრიდან გამოიყვანა მძლავრი დარტყმების შედეგად.

„მედისონ სკვერ გარდენში“ ერთი საათის წვრთნის შემდეგ მოლიანად გაოფლილი მოპამედ ალი რინგის ცენტრში დადგა და ჟურნალისტებსა და მაყურებლებს, რომლებიც თვალს აღევნებდნენ მის ვარჯიშს, წაუკითხა ლექსი... მომავალი ორთაბრძოლის შესახებ. არსებითად ეს იყო მისი მატჩის სცენარი. მოპამედ ალის განზრახული აქვს პირველი სამი რაუნდი მოანდომოს მოწინააღმდეგის, „მოსინჯვას“, მეოთხე და მეხუთე რაუნდებში „შეუტიოს“ ბონავენას, ხოლო მეექვსე და მეშვიდე რაუნდებში „ციბრუტივით დაატრიალოს“ იგი. მერვე რაუნდში თავში დარტყმებით გაანრუოს... ყველაფერი დამთავრდება მეცხრე რაუნდში (ბონავენა თავის მხრივ აცხადებს, რომ ალის მოუგებს მეთერთმეტე რაუნდში)...

სპარინგ-პარტნიორთან ორთაბრძოლაში მოპამედ ალი რინგის იატაკზე აღმოჩნდა. იმუშუმეიე ფოტოაპარატები ააჩიაკუნეს, მომღიმარი ალი ფეხზე წამოდგა და თქვა „ზოგ-ზოგები ოცნებობენ ოდესმე იატაკზე დაგდებული მნახონ. აი როგორი სანახავი ვიყავი. მომავალში ასეთ წარმოდგენას ველარ ნახავთ“.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რატომ აირჩია მან მოწინააღმდეგედ სწორედ ბონავენა, რომელიც, როგორც ცნობილია ძალიან ნებისყოფიანი და ღონიერი მოკრივეა. „თუ მსოფლიო ჩემპიონი ხარ, არავისი არ უნდა გეშინოდეს, — თქვა მან. — ჩემპიონი უნდა შეებრძოლოს ყოველ მეტოქეს, არ უნდა ფიქრობდეს იმ ორთაბრძოლებზე, რომლებიც მეტ ფულს მოუტანენ, ჩემი ყველაზე საშიში მეტოქე იყო ჯერი კეორი, რომელიც ბონავენაზე ძლიერი და ჭკვიანია. არგენტინელს, რა თქმა უნდა, შეუძლია ილაპარაკოს თავის გამარჯვებაზე, მაგრამ მან სიბრიყვე ჩაიდინა, როცა შავი კენგურუ მიწოდა. ამისათვის ჭკუას ვასწავლი“. (საკდესი).

თ. ვ. ჯყეშელაშვილი —

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სისხლშემცველებისა და სისხლის პრეპარატების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა თეიმურაზ ვასილის-ძე ტყეშელაშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ახალი სისხლშემცვლელი — ჟელატინინი (ჟელატინინის მომზადების მეთოდის დამუშავება და მისი ექსპერიმენტული შესწავლა)“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა თ. ვ. ტყეშელაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ეს სამკურნალოდ მცენარეა

ევკალიპტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ცხოვრება

ცნობათა კუთხე

ჩვენს პლანეტაზე ყველაზე მაღალი ხეებია ევკალიპტები.

ავსტრალიაში, ევკალიპტების სამშობლოში, ეს ხე ძალიან არის გავრცელებული. მას იქ ნახავთ ყველგან, დაწყებული მთიანი რაიონებით და დამთავრებული ტროპიკული ტყეებითა და ცენტრალური ავსტრალიის უდაბური ოლქებით. ჩვენს ქვეყანაში ევკალიპტები იზრდება შავი ზღვის სანაპიროზე, კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში.

ევკალიპტის ტყეებით ოდესლაც დაფარული ყოფილა ურალის მთების ფერდობებიც. ამას მოწმობს ევკალიპტების კვალი, რაც მიგნებულია ზედა ცარცოვან დანალექებში მდინარე ჩულიმის გაყოლებით და მდინარე ისეტის აუზში.

ევკალიპტს ბევრი „უცნაურობა“ აქვს. ყოველწლიურად იგი ფოთლების ნაცვლად იშორებს... ქერქს. შემოდგომაზე (სამხრეთ ნახევარსფეროში კი ეს დროის მიხედვით ჩვენს გაზაფხულს შეესაბამება) ევკალიპტების გიგანტური შტამბები საკმაოდ შეუხედავ სახეს იღებენ: ქერქი ეხუტებათ, შტამბებს სცილდება და ნაჭერ-ნაჭერ ცვივა მიწაზე. საინტერესოა, რომ ეს გიგანტები თითქმის არ იძლევიან ჩრდილს. ხეების ნამკლასებური ვიწრო ფოთლები მზის სხივებისაკენ მიმართულია არა თავიანთი ზედაპირით, არამედ გვერდებით, რის შედეგადაც მზის შუქი იფანტება, მაგრამ მას მცირედ ნთქავს ვაფჩი. ევკალიპტების სიმაღლეს შეესაბამება მათი შტამბების სისქეც, მის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი კურიოზული შემთხვევის მიხედვით. ერთმა მოხერხებულმა ახალმოსახლემ ავსტრალიაში თავისი ოჯახისათვის ბინად შეარჩია „ძველი“ ევკალიპტის ფუღურო. იგი იქ არა მარტო ცოლითა და სამი შვილით შესახლდა, არამედ თავლისთვისაც იპოვნა ადგილი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ევკალიპტს 300 სახეობიდან, რომლებიც ცნობილია მეცნიერებისათვის, ყველა როდი აღწევს ასეთ კოლოსალურ ოდენობას. მათ შორის არის საშუალო ზომის ხეები და ტანდაბალი ბუჩქნარიც კი. ტანმაღალი ევკალიპტები ხეებისათვის სოცკარი სისწრაფით იზრდებიან; ახალგაზრდა მცენარეები სიმაღლეში ყოველწლიურად 4-5 მეტრს იმატებენ. შემდეგში ზრდის ტემპები კლებულობს, მაგრამ ევკალიპტის ხეები 20-30 წლის განმავლობაში მაინც აღწევენ 35 მეტრ სიმაღლეს, ხოლო ახეთი ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა ხეების შტამბების სისქე ორასწლიანი ხეების შტამბების სისქის ტოლია. ოცდახუთი წლის ევკალიპტის მასა ასეთივე ასაკის ფუნის მასას 200-ჯერ აღემატება!

სწრაფმა ზრდამ, ნიადაგის პირობებისადმი ადვილად შეგუებამ და მცენარის თითქმის ყველა ნაწილის სამრეწველო გამოყენების შესაძლებლობამ ევკალიპტებს დიდი პოპულარობა მოუპოვა. გიგანტი ხეები შეტანილ იქნა ტყის ნარგავებში თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც კი საკმაოდ თბილი ჰავაა. ევროპის ტერიტორიაზე ევკალიპტების პირველი ნარგავები გამოჩნდა XVIII საუკუნის დამლევს ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, ნეაპოლის მიდამოებში და საფრანგეთის რივიერაზე. მაშინ ამ ნარგავებს დეკორაციული ხასიათი ჰქონდა. სამრეწველო პლანტაციები ევროპაში, აზიასა და ამერიკაში ასი წლით უფრო გვიან გამოჩნდა.

ევკალიპტების ქერქი მდიდარია მორიმლავი ნივთიერებებით, მაგალითად, ზოგიერთი სახეობის ევკალიპტის ქერქი 40 პროცენტამდე მორიმლავ ნივთიერებებს შეიცავს, ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე მუხის ქერქი. კიდევ უფრო მეტი მორიმლავი ნივთიერებებია ევკალიპტების ქერქის განსაკუთრებულ გამონაყოფებში, რომლებიც „კინოს“ სახელწოდებით არის ცნობილი. „კინოში“ მორიმლავ ნივთიერებათა შემცველობა 78 პროცენტს აღწევს. საინტერესოა, რომ ზოგიერთი სახეობის ევკალიპტის ქერქზე „კინოს“ ნაცვლად გამოიყოფა მორიმლავ ნივთიერებათაგან თავისუფალი, მოტკბო სითხე, რომელიც, ჰაერზე რომ შრება, თეთრ კომტებად იქცევა. (ეს ავსტრალიელი ბავშვების პირის ჩასატკბარუნებელი საჭმელია).

ევკალიპტის ფოთლები შეიცავენ ეჭროლად ეთერის ზეთს, ამასთან საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით — 4,5 პროცენტამდე. სხვადასხვა სახეობის ევკალიპტებს ზეთი ერთგვაროვანი როდი აქვთ. მაგალითად, ნაზი, ვარდის სუნის მსგავსი, არომატის მქონე ეთერის ზეთებმა გამოყენება ჰპოვეს პარფიუმერიაში. ასეთი ზეთების შემადგენლობაში შედის არომატული სპირტი გერანიოლი, ვარდის ზეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

მედიცინაში იყენებენ ისეთ ევკალიპტის ზეთებს, რომლებიც მთავარ შემადგენელ ნაწილად შეიცავენ არომატულ უანგა შენაერთს — ცინეოლს, თავისი ქიმიური შედგენილობითა და მოლეკულის ანაგობით რომ უახლოვდება მენთოლს — ნივთიერებას, რომელიც პიტნის სუნს განაპირობებს. ცინეოლს ძლიერი ბაქტერიციდული მოქმედება აქვს. Jn viiro (შუშაში, ხინჯარაში) ცდების დროს იგი დამღუპველად მოქმედებს დიზენტერიის, დიფტერიის, მუცლის ტიფის გამომწვევებზე და ბევრ სხვა პათოგენურ მიკროორგანიზმზე. ამიტომ ევკალიპტის ტყეების ჰაერი, რომელიც გაუღენთილია ეთერის ზეთებით, უფრო მარგებლად ითვლება, ვიდრე ფიჭვნარის ჰაერი.

ამის შესახებ საინტერესო შენიშვნა იყო მოთავსებული „ფარმაცევტული ჟურნალის“ 1883 წლის მესამე ნომერში: „სამი ჭის საბატაკოს, რომელიც რომიდან დაახლოებით სამ მილზეა, ქვიშიანი და თიხიანი ნიადაგი და იმდენად არაჯანსაღი ჰავა ჰქონდა, რომ ადგილობრივი მუშები მკის დამთავრებისთანავე უნდა წასულიყვნენ უფრო ჯანსაღ მთიან ადგილებში. 1868 წელს რამდენიმე ფრანგმა ტრაპისტმა, თავიანთი ჯანმრთელობისა და თვით სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, 3 ივლისს გაშენა ევკალიპტის ტყეების პლანტაცია. ისინი ყოველ დამე ბრუნდებოდნენ ქალაქში, რათა ამ დროს მალარია არ შეხვედროდათ. უკვე 1874 წელს ჰავა იმდენად გაუმჯობესდა, რომ მათ გადაწყვიტეს პლანტაციის ახლოს გაეთიათ დამე. 1879 წელს გაშენებულ იქნა ევკალიპტი 1.222 დესეტინაზე. შედეგმა დაადასტურა ამ პლანტაციების აკმოსფეროს გაწმენდა, რაც ხდება ნაწილობრივ იმის მეოხებით, რომ ხეები ნიადაგის ტენის აორთქლების ხარჯზე ფოთლებში, საიდანაც იგი შემდეგ სწრაფად ორთქლდებოდა ატმოსფეროში. აღნიშნული მიზნებისათვის ევკალიპტის შერჩევა შემთხვევითი როდი იყო: ერთი ჰექტარი ევკალიპტის ტყე ხომ წელიწადში აშრობს ათი ათასამდე ტონა წყალს. ამ მხრივ ევკალიპტებს ვერ შეედრებიან სხვა მერქნიანი ჯიშები. რამდენიმე წლის შემდეგ ჭაობებისათვის წარმოეფინა ნიადაგებზე ევკალიპტის კორომების გვერდით ახმაურდნენ მანდარინისა და ატმის ბაღები, ამწვანდნენ ჩაის, ტუნგის პლანტაციები. ჭაობებთან ერთად გაქრა მალარია, რომელიც ოდესლაც აქ მძვინვარებდა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ევკალიპტის ზეთი სხვადასხვაგვარ გამოყენებას პოულობს მედიცინაში. იგი საუკეთესო სადეზინფექციო საშუალებაც არის. მოქმედების ძალით ეს ზეთი კარბოლმჟავას ხსნარს ჯობს.

მედიცინაში იყენებენ არა მარტო ეთერის ზეთს, არამედ ევკალიპტის თვითონ ფოთლებსაც. მათგან ამზადებენ წყლის ნაყენებს, რომლებსაც როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას ხმარობენ ყელში გამოსავლებად, აგრეთვე ინგალაციისათვის ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ევკალიპტის ზეთი და ევკალიპტის ფოთოლი საზღვარგარეთიდან შემოგვაქონდა, ახლა ისინი საკმაო რაოდენობით გვაქვს.

ვ. სალო,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“. № 10, 1970 წ.

● ჰექტარი ევკალიპტის ტყე წელიწადში აშრობს 10 ათას ტონა წყალს.

● ევკალიპტის მერქანი ბევრად მაგარია, ვიდრე კაკლისა და მუხის მერქანი.

● ევკალიპტის მერქანს იყენებენ რკინიგზის შპალებისა და ხიმინჯების დასამზადებლად.

● ევკალიპტის ეთეროვანი ზეთები გამოყენებულია მედიცინასა და ვეტერინარიაში.

● ევკალიპტისაგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ სასუნთქი ორგანოების, პირის ღრუს, ცხვირისა და საყლაპავი მილის, ნაწლავების, თვალის, მარდის ბუშტის, თირკმლისა და ღვიძლის, პიპერტონიული და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

● ევკალიპტის ფოთლების ძლიერ სურნელებას ვერ იტანს კოღო და მას მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვს.

საღამო მტკვარზე

ფოტო ს. ბილაძისა.

ტელევიზია

5 დეკემბერი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“, 12.35 — კინონარკვევი, 12.45 — დღეს საბჭოთა კონსტიტუციის დღეა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა, 13.45 — გადაცემა „თავისუფლების დიდი წიგნი“, 14.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ მოსკოვი-ცსკა. დამატებითი მატჩი — ტრანსლაცია ტაშკენტიდან, 16.25 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი — „ზაფხულის პატარა რომანი“, 17.30 — ახალი ამბები, 17.35 — „ჩემი ქვეყნის მელოდიები“ — საესტრადო კონცერტი, 18.05 — სატელევიზიო ჟურნალი ბავშვებისათვის — „საპოვნელა“, 18.45 — „საბჭოთა საქართველოს — 50“ — „ქართული საბჭოთა კინო ახალი ყოფისათვის ბრძოლაში“, 19.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მულტაპანორამა, 20.25 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ — საჩხერის რაიონი, 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — „პოეზიის საღამო“, 22.05 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, 22.45 — „მოგვითხრობს ირაკლი ანდრონიკოვი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

6 დეკემბერი

10.15 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „ბაღვიძარა“ — (გადმოცემა ნოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მწვრთნელი“, 12.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „გამარჯობათ, ჩვენო მამებო!“ — საქართველოს ტელევიზიის დადგმა (განმეორებით), 14.00 — კინონარკვევი, 14.15 — „შედეგი“ — ბეთოვენის ყველა სიმფონია (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო“ (ქართულ ენაზე), 16.05 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა“ — 1938 წელი, 16.25 — სატელევიზიო ჟურნალი „კინოეკრანი“, 17.25 — „ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად“, 17.45 — „სოფლის მშრომელები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — „ირმის ნახტომი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 19.05 — „ჩვენ ცირკში მივდიოართ“ — საესტრადო გადაცემა, 20.00 — საუბარი საერთაშორისო თემაზე — (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. ცხინვალის რაიონი, 21.30 — პოლონური მხატვრული ფილმი „მზაკვრი ქალი“, 22.30 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ოლოვიკოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო — (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

5 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბროლის ქოში (დღისით), ქეთო და კოტე (საღამოს 6 ს.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სანამ ურემი გადაბრუნდება; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — შუშის სამხეცე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში; გრიბოედოვის სახელობის — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (დღისით), ძველი არბატის ზღაპრები (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანის ქოშები (დღისით და საღამოს); ფილარმონიის საზამთრო — ენკი-ბენკი.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 8 დეკემბერს.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

„კომუნისტი“ — თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/შ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, პრეწყვეტილობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97